ნაპალოული 2000

140 ფასი
2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ თქვენი ჟურნალი

"ნაკადული"

„ნაკადული“

საყმაწვილო ჟურნალი
2000 წ. №1
გამოდის 1926 წლიდან

ნომრის შინაარსი

საინფორმაციო სააგენტო “ფაქტი” ----------2
საახალწლო მოზაიკა ----------3
ბავშვთა პარლამენტი და მისი ქართველი მონაწილეები -------4
ნატო საჯაიას ჯადოსნური სამყარო ----------5
უჯიშო (მოთხრობა) ----------6
თქვენზე ფიქრითა და ზრუნვით----------8
ვიქტორინა “ჭკუის კოლოფებისათვის” ----------9
ახალი ლექსები ----------10
პრეზიდენტის სტიპენდიატები (ნ. სებისკვერაძე და თ. დუდუჩავა)--- 11
მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ----------13
გიორგი ლეონიძე –100 ----------14
ოდიმხერი ----------17
პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის ----------19
მსოფლიო კიდით კიდემდე ----------22
ამეტყველებული პლასტილინი ----------23
ვალდორფის სკოლის საფეხურები ----------24
კითხვა თქვენი –პასუხი ჩვენი ----------26
??? ----------27
ბუნების კარი ----------28
12 ფაქტი ნობელის პრემიის შესახებ ---------30
ტესტი თინეიჯერებისათვის ----------31
სიცილის გაკვეთილი ----------32

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა
მიშიკო შესტოვსკისა

რედაქტორი მანანა გელაშვილი
სამხატვრო რედაქტორი **ნოდარ სუმბაძე**
მისამართი 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სასელშეკრულებო
ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში.

გილოცავთ ახალი წლის! მრავალის ნდობისთვის აყვავებული, ცოცხალი ძალებით სავსე თვეებში!

140
2000
ეროვნული ბიბლიოთეკა
2000 წ.
№1-8
13
1-9
21662
საქართველოს ეროვნული



ფაქტი

"ნაკადულის" საინფორმაციო საგენტო

ამერიკული სკოლა "მზიურში"

სულ მალე თბილისში ბავშვთა ქალაქ "მზიურში" ამერიკული სკოლის მშენებლობა დაიწყება. ეს სკოლა შვიდი წელია არსებობს, მაგრამ საკუთარი შენობის უქონლობის გამო მისი კლასები სხვადასხვა სკოლებში იყვნენ შეფარებულნი. იმის წყალობით, რომ საჭირო სამშენებლო მასალებს უკვე მზა კონსტრუქციის სახით ჩამოიტანენ ამერიკიდან, სკოლის მწყობრში შესვლა მომავალი სასწავლო წლისთვის მოესწრება. მშენებლობას მთლიანად ამერიკული კომპანია "School of Tomorrow" აფინანსებს. სწავლა ამ სკოლაში ამერიკული სისტემით იწარმოებს ინგლისურ ენაზე.

სწავლება უნდა გარდაიქმნას

საქართველოს განათლების სამინისტროს და მსოფლიოს ბანკის ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე, თემაზე "როგორ სწავლობენ ქართველი მოსწავლეები", იმსჯელეს უმთავრეს საკითხზე—როგორია და როგორი უნდა იყოს სასწავლო პროცესი ჩვენს სკოლებში. კონფერენციაზე დაკონკრეტდა: ჩვენში სწავლების მთავარი ნაკლი ის არის, რომ ბავშვებს არ ასწავლიან როგორ ისწავლონ, როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა, როგორ იაზროვნონ დამოუკიდებლად, როგორ გაიკვლიონ გზა ცხოვრებაში.

9 წლის სალომე ქათამაძე მილანში

საქვეყნოდ ნობილი მომღერლის ლუჩიანო პავაროტის მოწვევით ცხრა წლის ქუთაისელმა მომღერალმა სალომე ქათამაძემ მონაწილეობა მიიღო 25 დეკემბერს მილანში გამართულ საშობაო კონცერტში. ნორჩმა ქართველმა მომღერალმა დიდი წარმატებით შეასრულა იტალიელი კომპოზიტორის გასტილ დონის "სიმღერა სიყვარულზე".

სალომე 17 იანვარს ციურიხში დაგეგმილ კონცერ-ტში მონაწილეობისათვის მიიწვიეს, აქ იგი ცნობილ ქართველ ტენორ ზურაბ სოტკილავასთან ერთად იმღერებს. ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტების ყურადღება პატარა მომღერალმა შემოდგომაზე სანკტ-პეტერბურგში ობრაზცოვას სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მიიქცია, სადაც მას" კონკურსის მარგალიტი" უწოდეს. სალომე ქათამაძემ რვა წლისამ დაიწყო სიმღერა, ამჟამად კი იგი ქუთაისის №1 მუსიკალური სასწავლებლის ფორტეპიანოსა და ვოკალის განყოფილებაზე სწავლობს.

ეკატერინბურგშიც ქართულად ისწავლიან

ადგილობრივი ქართული სათვისტომოს მოწადინებითა და ძალისხმევით, რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში გაიხსნა ქართული სკოლა, რომელიც, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ კვირაობით იმუშავებს, მაინც დიდ დახმარებას გაუწევს იქ მცხოვრებ ქართველ ბავშვებს ქართულ ენაზე განათლების მიღებაში. ჩვენს ეკატერინბურგელ თანამემამულეებს იმედი აქვთ, რომ საქართველოს ხელისუფლების დახმარებით მომავალში ყოველდღიური ქართული სკოლის გახსნაც მოხერხდება.

საახალწლო მოზაიკა

ახალი წელი + ჭირნახულის დღესასწაული

კუნძულ ბორნეოზე ახალი წლისათვის მზადებას ერთი კვირით ადრე იწყებენ. ამ შვიდი დღის განმავლობაში აქ განუწყვეტლივ ისმის გონგის ხმა. ახალი წლის შეხვედრას - ერთდროულად ჭირნახულის დღესასწაულს - კუნძულის მოსახლეობა საზეიმო მსვლელობით აღნიშნავს, რომლის დროსაც დიდსა თუ პატარას მოაქვს სხვადასხვა ხილი, ბოსტნეული, ათასგვარი მცენარეულობა.



ხარებთან ერთად

საახალწლოდ მექსიკელები თვითონაც ირთვებიან ცოცხალი და ქაღალდის ყვავილებით, და სახლებსაც რთავენ, გარდა ამისა, აწყობენ კარნავალებსა და ხარების ბრძოლებს. ყოველივე ამას კი განუწყვეტელი ზარების რეკვა ახლავს თან.

კიდევ კარგი კონფეტი ქაღალდისაა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი რომაული კარნავალის ბოლო დღეებში მიღებული იყო ერთმანეთისათვის დაშაქრული ნუშის ან თხილის სროლა, პორტუგალიაში კი ტკბილეულის ნაცვლად ბარდას ისროდნენ. მოგვიანებით თხილი და ნუში თაბაშირის ან ცარცის ბურთულებმა შეცვალა. მაგრამ ასეთ ბურთულებს სახის დაზიანება მოსდევდა და ამიტომ პოლიციამ აკრძალა ეს სახიფათო "კონფეტი". გასული საუკუნის მიწურულს ერთ-ერთი პარიზული რესტორნის მფლობელმა თაბაშირის დრაჟეს შაქრის რგოლებით შეცვლა მოიფიქრა. ასე გაჩნდა თანამედროვე ჭრელ-ჭრელი კონფეტი.

მაგელანის საახალწლო სუფრა

ახლოვდებოდა 1521 წელი. მაგელანი, რომელმაც მსოფლიო ზღვაოსნობის ისტორიაში პირველმა გადაკვეთა წყნარი ოკეანე, და მისი მეზღვაურები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ. აი რას წერს ამის შესახებ იტალიელი პიგაფეტი: "იმ ახალი წლის ღამეს შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით, იძულებული ვიყვით ტყვის ქამრები შეგვჭამა. ეს ქამრები, რომლებსაც რამდენიმე წელი ვატარებდით, იმდენად იყო გახევებული, რომ მთელი კვირა ზღვის წყალში გვქონდა ჩალბობილი. მერე ქამრები შევწვით და გემრიელად შევექეცით, ზედ კი ღვინო დავაყოლეთ, რომელიც, საბედნიეროდ, კიდევ შემოგვრჩა."



პირველები, სულ პირველები

დედამიწაზე პირველები ახალ წელს ფიჯის კუნძულების მცხოვრებნი ეგებებიან. მათ შემდეგ ახალი წლის დადგომას ამომავალი მზის ქვეყნის - იაპონიის მოსახლეობა აღნიშნავს. იაპონელები მუხლმოყრილნი უკითხავენ მნათობს საზეიმო საგალობლებს.

უახალწლოდ

ზღვაოსნები, რომლებიც ახალი წლის წინა ღამეს სამოას კუნძულიდან ავსტრალიისკენ მიცურავენ, საახალწლო ზეიმის გარეშე რჩებიან. საქმე ის არის, რომ ზღვაში 31 დეკემბერს გასულები ისინი კვეთენ დროის პირობით ზღვარს —თარიღების ცვლის ხაზს— და ავსტრალიაში 2 იანვარსღა ხვდებიან.

ბავშვთა მსოფლიო პარლამენტი

და მისი ქართველი წევრები

სამ დღეს მიმდინარეობდა პარიზში ბავშვთა მსოფლიო პარლამენტის მუშაობა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებმა, 16 წლის რუსთაველმა თინათინ მაჭარაშვილმა და 13 წლის თბილისელმა ნინო შენგელიამაც მიიღეს მონაწილეობა.

ბავშვთა პარლამენტი საფრანგეთის ორპალატიანი პარლამენტის ერთ-ერთი პალატის — ეროვნული ასამბლეის და იუნესკოს ერთობლივი ძალისხმევით შეიკრიბა. მსოფლიოს პარლამენტარი ბავშვების შეხვედრის იდეა აღმოცენდა საფრანგეთის ბავშვთა ეროვნული პარლამენტის ტრადიციიდან, რომლის თანახმადაც, ყოველწლიურად ეროვნული ასამბლეის შენობაში იმდენივე ნორჩი ფრანგი დეპუტატი იყრის თავს, რამდენი უფროსი დეპუტატიც არის მასში წარმოდგენილი. ნორჩი პარლამენტარები მთელი სერიოზულობით მუშაობენ, გულმოდგინედ იხილავენ მათ მიერვე შერჩეულ ამა თუ იმ საკანონმდებლო ტექსტებს, ბჭობენ, კამათობენ მის ირგვლივ და ამის შემდეგღა იღებენ მას. ნორჩი დეპუტატების მუშაობას მათი უფროსი კოლეგები ასევე სერიოზულად უყურებენ . ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბავშვების მიერ მიღებულ - დამტკიცებული საკანონმდებლო ტექსტი შემდგომში საფრანგეთის რესპუბლიკის ნამდვილ კანონად იქცევა.

გარდა ბავშვთა პარლამენტისა, ამქვეყნაში არსებობს საკონსულტაციო უფლებამოსილებით აღჭურვილი ახალგაზრდული მუნიციპალური საბჭოებიც, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ემსახურებიან სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის სწავლების იმავე იდეას.

2000 წლის მოახლოებასთან დაკავშირებით საფრანგეთმა ითავა საკუთარი გამოცდილება იუნესკოში შემავალ 187 ქვეყანაში განევრცო. ასე დაიბადა ბავშვთა მსოფლიო პარლამენტის იდეა, რომელმაც საწყს ეტაპზე ყველა კონტინენტის 10000-ზე მეტი მოსწავლე მოიცვა, პარიზში კი თავისი პარლამენტის I სხდომაზე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის 380-მდე ბავშვი ჩავიდა.

ნორჩ პარლამენტართა საინტერესო მუშაობა დაგვირგვინდა ეროვნული ასამბლეის სხდომათა დარბაზში გამართული საზეიმო სხდომით, რომელზეც მიიღეს "ახალგაზრდობის მანიფესტი XXI საუკუნისთვის", რომელიც "მშვიდობის და არა ძალადობის კულტურისათვის" პროგრამის ნაწილი გახდება. ხსენებული პროგრამის კოორდინატორია იუნესკო, სწორედ მის გენერალურ კონფერენციას წარედგინა "ახალგაზრდობის მანიფესტი", რომელიც მომავალ შემოდგომაზე, 2000 წლის მშვიდობისა და კულტურის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით საზეიმოდ გადაეცემა იგივე იუნესკოს.

მანიფესტის შემდგენლები მილიონობით თანატოლის სახელით ილაშქრებენ ომისა და ძალადობის წინააღმდეგ, მშვიდობისაკენ მოუწოდებენ მსოფლიოს საზოგადოებას. გარდა ამისა, ისინი კატეგორიულად მოითხოვენ ყველა ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან უფრო ქმედითი ზომები მიიღონ ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. "ახალგაზრდობის მანიფესტის" ავტორები მიიჩნევენ, რომ პრესამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების პრობლემებს, ხოლო ხელისუფლებამ საკუთარი სიტყვის თქმის მეტი საშუალება უნდა მისცეს მათ.

"ახალგაზრდობის მანიფესტის" შედგენაში ჩვენმა წარგზავნილებმაც მიიღეს მონაწილეობა და საკუთარი ხმა შეუერთეს მთელი მსოფლიოსადმი მიმართული თავიანთი თანატოლების მოწოდებას ჰუმანურობისაკენ.

პარიზიდან დაბრუნებული ბავშვთა მსოფლიო პარლამენტის მუშაობის მონაწილე ქართველი მოსწავლეები საფრანგეთის საელჩოში საგანგებოდ გამართულ მიღებაზე მიიწვიეს. საფრანგეთის ელჩი საქართველოში ქალბატონი მირეი მიუსო მიესალმა ნინო შენგელიას და თინათინ მაჭარაშვილს და მიულოცა მათ სადეპუტატო დებიუტი. ქალბატონმა ელჩმა ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბავშვთა მსოფლიო პარლამენტის მუშაობაში მონაწილე ბავშვებს საკუთარი სათქმელის, იმედების, მისწრაფებების, სურვილების გამოხატვის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ. ნინომ და თინიკომ კი დაწვრილებით ისაუბრეს პარლამენტზე, მიმოიხილეს "ახალგაზრდობის მანიფესტი" და დიდი მადლობა გადაუხადეს საფრანგეთის ელჩს ხელშეწყობისა და გაწეული დახმარებისთვის.

ნატო საჯაიას ჯადოსნური სამყარო

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ტუშით შესრულებული ნახატები გამოეფინათ. მხატვარს ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები გაეცოცხლებინა ქაღალდზე. ოსკარ უაილდის ზღაპრის "ვარსკვლავიბიჭუნას" ერთ-ერთი გმირის, ამპარტავანი ინფანტას კაბა აუცილებლად დაიინტერესებდა ავანგარდული მოდის მიმდევრებს. ბერძნული მითების გმირების, ჰერაკლესა და პერსევსის ათლეტურ სხეულებში მართლაც ზებუნებრივი ძალა იგრძნობოდა. "ვეფხისტყაოსნის" გმირები ერთმანეთს საოცრად სევდიანი, დიდრონი თვალებით უცქერდნენ. ცხოველთა სამყაროც სხვა თვალით იყო დანახული. კუს ჯავშანზე ძველი თბილისის უბანი დატია. თავიდან კუდამდე ოქროსა და ვერცხლისფერი პაწაწინა ვარსკვლავებით შემოსილი რეალურ სამყაროში არცთუ მომხიბვლელი ხვლიკი ნახატზე სილამაზით იქვე გამოფენილი კატების პორტრეტებს არ ჩამოუვარდება. ფისუნიები კი თითქოს იისფერ ნისლში გახვეულან, მიღმა სამყაროდან გვიცქერენ. ამასთან ყველა კატა საკუთარი განუმეორებელი ხასიათითა და გარეგნობით არის დაჯილდოებული. დაუჯერებელია, მაგრამ ეს ჯადოსნური სამყარო 13 წლის გოგონამ, ნატო საჯაიამ შექმნა.

ნატო წლისაც არ იყო, როცა ხატვა დაიწყო. თავიდან პატარა სუსტი ხელით შემოხაზულ ფიგურებს ნახატს ვერც უწოდებდით. ნატოს მშობლებმა, პროფესიით მხატვრებმა ქეთი გოკიელმა და დავით საჯაიამ შვილის გატაცება თამაშად აღიქვეს. გოგონა საათობით უცქერდა მოლბერტთან მომუშავე დედას და თავადაც ხატავდა. მისი სახატავი რვეულები ვეღარ იტევდა ნაირფერ ყვავილებსა და ცხოველებს, რომლებიც ძალიან უყვართ ოჯახში.

5 წლის ნატო ქართულმა ცეკვებმა გაიტაცა. მშობლებმა გოგონა თენგიზ სუხიშვილის სტუდიაში მიიყვანეს. სტუდიის მოსწავლეებს შორის ყველაზე უმცროსი და ტანმორჩილი გოგონა საოცარი შეგრძნებითა და მოძრაობების სისხარტით გამოირჩეოდა. გატაცებას ხატვის სიყვარული არ დაუჩრდილავს, პირიქით ცეკვაში ათვისებულმა პლასტიკამ მხატვრობაშიც იჩინა თავი:

ცხოველები თუ ზღაპრის გმირები ქაღალდზე თითქოს გაცოცხლდნენ, ამეტყველდნენ.

გოგონას სკოლაში სწავლაც ძალიან მოეწონა. კერძო სკოლა "არიელში" ნატო ერთნაირი გატაცებით სწავლობს მშობლიურ ლიტერატურასა და ისტორიას, ხელოვნებისა და რელიგიის ისტორიას, განსაკუთრებით კი ზოოლოგია უყვარს. სკოლაში კარგა ხანს არაფერი

იცოდნენ ნატოს შემოქმედების შესახებ. ერთხელ რელიგიის მასწავლებელმა, ზვიად მიმინოშვილმა, პატარებს მათი საყვარელი ბიბლიური გმირების დახატვა დაავალა. ნატომ წმინდანთა ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტი დახატა. გოგონას ნამუშევრებით აღტაცებულმა მასწავლებლებმა ნახატები სკოლაში გამოფინეს. ნატოს შეუძლია უსასრულოდ ხატოს "ვეფხისტყაოსნის" გმირები, ანდერსენისა და ოსკარ უაილდის ზღაპრების პერსონაჟები, ამასთან ფანქრისა და ფუნჯის მეშვეობით სხვადასხვა ნახატზე აღბეჭდილი ერთი და იგივე გმირს განსხვავებული ხასიათითა და გარეგნობით აჯილდოვებს. გოგონას სხვადასხვა სახატავი საშუალებების გამოყენება და მათი შეხამება უყვარს: ხატავს ფანქრით, საღებავებით, ტუშითა და ფლომასტერებით. უპირატესობას იასამნისფერს ანიჭებს.

ნატოს ნამუშევრების პირველი მნახველი მისი დედაა. ქალბატონი ქეთი ცდილობს შვილის შემოქმედებით გადაწყვეტილებებში არ ჩაერიოს, აი, ნატო და მამამისი კი ხშირად კამათობენ. ბატონი დავითი თავად ასწავლის ხატვას სამხატვრო სკოლაში და გული არ უთმენს თავის ქალიშვილს შენიშვნა ან რჩევა არ მისცეს. ხატვის მასწავლებელთან ნატო შეგნებულად არ დადის:
— მე საკუთარი ხედვა მაქვს, თავად ვიღებ გადაწყვეტილებებს და არ ვთმობ მათ. ვიცი, სამხატვრო აკადემიაში სწავლისას მაინც მომიწევს განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩატევა. ჯერ კი, სანამ შემიძლია ჩემი ფანტაზიები არ მოვთოკო, მხოლოდ ჩემეულ ხედვას ვუწევ ანგარიშს. საერთოდ არ მესმის, როგორ შეიძლება ვინმემ ან რაიმემ თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს ადამიანი. კერპი არც მხატვრობაში მყავს, არც მუსიკასა და კინოში.

ჩემთვის ყველაზე რთული ლიტერატურული პერსონაჟების ხატვაა. თითოეული გმირის წარმოდგენა ათასნაირად შეიძლება. ვფიქრობ, ვნერვიულიობ, მერე უეცრად, რაღაც წამებში, ეს გმირი ნათლად წარმომიდგება, თუ ვიმარჯვე და მოვასწარი წარმოსახულის ქაღალდზე გდატანა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ხატვას და ქართულ ცეკვებს ჩემს ცხოვრებაში მთავარი ადგილი უკავია. არასოდეს დავთმობ ერთს მეორის გამო. ვეცდები, ერთდროულად გავხდე პროფესიონალი მხატვარი და მოცეკვავე.

ნანა მაყაშვილი

ვლადიმერ ბერიაშვილი

ᲬᲯᲘᲗᲔ

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ ᲩᲘᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲘᲧᲝᲗ.

ქალაქში ვეღარ გავჩერდებოდი. აღმოჩნდა ომ, მიუხედავად ჩემი გამოცდილებისა, ცოცხალი ადამიანების ამოცნობა მაინც მიჭირდა. გადავწყვიტე, სადმე ქალაქგარეთ დავსახლებულიყავი და ქალაქში მხოლოდ ღამით მევლო პატარა პატრონის საძებნელად.

ვერდებოდი ქალაქს და საზრდოს ქალაქგარეთ, ტყე-ღრეს და ველ-მინდვრებში ვეძებდი. ჩემი წინაპრების ხელობა გავიხსენე და ნადირობა ვცადე. ეს არც ადვილი აღმოჩნდა. ყველა სირთულეს ისიც დაემატა, რომ კისერზე ჯაჭვი მეკიდა და მისი წკარუნ-ყღარუნი წინდაწინვე აფრთხილებდა ჩემს მსმენელს. როგორმე სულელ ბაჭიას, აკადმყოფ თაგვს, ან მონადირის მიერ დაჭრილ ფრინველს თუ გადავაწყდებოდი, ამაზეც მადლობელი უნდა ვყოფილიყავი. ერთხელ გზაპნეული ბატკანი გახდა ჩემი წერა და მაშინ მიეზედი, რაც უნდა გამეკეთებინა, რათა შიმშილით სული არ ამომხდომოდა.

ქალაქიდან ახლოს, იალაღებზე ცხვრის ფარები იყო გაშლილი. ფარას გარშემო შემოვუვლიდი, – ძაღლი ვიყავი და ცხვრები არ მიფრთხოდნენ, – სადაც ბატკანს მოვიხელთებდი, ეტაცებდი პირს და ჰეი! რამდენჯერმე მეცხვარის ქოფაკებმა აიღეს გეში და გამიმენონენ. მე ბატკანს დავაგდებდი (ქოფაკებთან ჩხუბის თავი სადა მქონდა, ერთ წუთში გამწეწავდნენ), ორად მოვიკაკვებოდი, (კინაღამ ვთქვი, კუდს ამოვიძუებდი მეთქი) და ქოფაკების ყელს მივუშვერდი. ჩვენს ენაზე ეს ნიშნავს: "ვაღიარებ შენს უპირატესობას, გინდ მომკალი, გინდ დამარჩინე". დაუცველი ყელი და ქედის მოხრა წამალივით მოქმედებდა მათზე. კარს შემმარბენდნენ, ერთი-ორს შემომყეფდნენ, ზოგჯერ რომელიმე მთგანი გვერდსაც გამკრავდა. მაშინ ზურგზე გადაკიბრალდებოდი და თათებს ზეცას შევაყუდებდი. ისინი მალე მანებებდნენ თავს და "მკლის" მოსამებნად გარბოდნენ. ბატკანს კი ვკარგავდი, მაგრამ, სამაგიეროდ, საკუთარი თავი ბრრებოდა მთელი.

ტყეში მეელი არ იყო, სამაგიეროდ, ტურა და მელა იყო ბლომად და ზშრადაც მიხდებოდა მათთან შეხლა-შემოხლა. ყოველ გარეულ ცხოველს საკუთარი სანადარო სივრცე აქვს, სადაც ის ბატონია და უცხოს დაუსჯელად არ გაუჭაჭანებს. მე ყველასთვის უცხო, შემოხტებული, დაუპატიჟებელი სტუმარი ვიყავი, რომელიც მასპინძლის გადგებას ცდილობს. რადგან მე მხოლოდ უძლური ცხოველებით შემეძლო კვება, ჩემი სანადარო სივრცე გაცილებით ვრცელი უნდა ყოფილიყო და ბევრი ტურისა და მელიის საფფლობელიც კვეოდა. მე ჯანმრთელი კურდღლის ან ციცვის დაჭერა არ შემეძლო, თორემ პირისპირ ბრძოლაში ბევრ ტურასა და მელას გამოვუფენენ წორეა, მთზე ძლიერიც ვიყავი და არც ორსა და სამთან პირისპირ შეხვედრისა მეშინოდა. თქვენ იტყვით ასეთი ქცევა ცივილიზებულ სამყაროში გაზრდილი ნაგაზისათვის მეტისმეტი სისასტიკეაო? დიახ, მძულდა და სასტიკი ვიყავი! მე მშიოდა... ეს ერთი, და მეორეც ის, რომ ჩვენ თანაბარ მდგომარეოობაში ვიყავით –მეც მქონდა კბილები და იმათაც, მეც მქონდა ბრჭყალები და იმათაც, მე თუ მათზე ძლიერი ვიყავი, მათ სირბილი შეეძლოთ ჩემზე სწრაფად და ჩემზე გაცილებით მოენილებიც ივვნენ. და მესამე –მათ ხროვის დახმარების იმედი ჰქონდათ, მე კი ამას მოკლებული ვიყავე.

ადამიანთან პაექრობაშიც რომ ასეთივე თანაბარი პირობები გვქონოდა...

წეღან არ ვიყავი მართალი, როცა გეუბნებოდით, ცოფიან ადამიანს მიიმუნივით გრძელი მკლავები, მხრებში ჩამძვრალი თავი და ჩასისხლიანებული თვალები აქვს-მეთქი. ის გარეგნულად, შეიძლება, ძალზე ლამაზიც იყოს, ძალზე სუფთად ჩაცმულიც, მაგრამ სული მაინც აქვს, ცოფის სული, და მე ვერ მომატყუებს. ახლა ამ სულს კარგად ვარჩევ, მაგრამ რაღა დროსია...

...ქალაქშიც თითქმის ყოველ�დავდიოდი. სიძულვილით ვიყავი გამეტყილი და ირგვლივ ბოროტებას ვანთხევდი. ჩემსავით მაწანწალა ძაღლსა და კატას არას ვერჩოდი, მაგრამ როგორც კი ბაბთიან-ყღარუნიან პიწკინებს მოვიგდებდი, იშვიათად ვუშვებდი ცოცხალს. ადამიანებს ხომ სისხლი გავუშრე, არცერთ მათგანს ყელში არ ვწდომივარ, სასიკეთოდ არ გამიმტკბია, მაგრამ მარტოხელა ვინმეს მოვიგდებდი თუ არა, ჩემი ბასრი კბილების კვალს აუცილებლად დავამჩნევდი. ხალზში ხმა გაკარდა, ქალაქში ცოფიანი ძაღლი გამოჩნდა, კისერზე ჯაჭვი ჰკიდია, ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს და არავის ინდობსო. ხალხი შიშით გარეთ ვეღარ გამოდიოდა. მე მართლაც არავის ვინდობდი, არც დიდს, არც პატარას, არც ქალს, არც ბავშვს. სისასტიკეა? დიახ! მაგრამ მე მათ არათანაბარ პირობებში ვებრძოდი: ადამიანები მთელ ქალაქს ფლობდნენ, თოფები, ჯოხები, ქვები ჰქონდათ, ჩემზე ღონიერებიც იყვნენ; მე სიბნელით, მოულოდნელობითა და ბასრი კბილებით ვცდილობდი ჩვენი ძალების გათანაბრებას. განსაკუთრებით მთვრალებსა და მძღოლებს ვემტერებოდი. ხალხი ისე დაშინდა, სადმე რაღაც რომ გაიწკარუნებდა ან გაიყღრიალებდა, ჩემი საყელოს ხმა ეგონათ და შიშით გული ელეოდათ.

იტყვით, შენც ეს გინდოდაო. ვითომ? გგონიათ, ვიცოდი, რა მინდოდა? ირგვლივ წყვდიადი იწვა, სქელი, მკვრივი, მე ამ წყვდიადის ბატონი (თუ ყმა?) ვიყავი, თავი უკუნეთის ურჩხულად წარმომედგინა, რომელიც ადამიანების დასახსჭელად თვით განგებამ გამოგზავნა. მხოლოდ შორს, ძალიან შორს, დედამიწისა და ცის შესაყართან, ერთი ჰატარა ნათელი წერტილი ენთო, ციმციმებდა, თვალს მიკრავდა და მაიმედებდა. ქვემეტნულად მიეწევედი ამ ნათელი წერტილისაკენ და მჯეროდა, როდესმე ისე ახლოს მივიდოდი, რომ ჩემთვისაც გაანათებდა, გაასხივოსნებდა ამ წყვდიადს და მეც დავისვენებდი. ეს ნათელი

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ ᲩᲘᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ.

და აჰა, ვეღირსე, ჩემთვისაც გამოანათა! გამოანათა, მიდამო გამიხსნაზრახა, მაგრამ ჯერ-ᲯᲔᲠᲘ, არც გამიეროანებინა. მე ვეძებდი, მან მიპოვა. მან მიპოვა, მე კი გავიქეცი. მე მის თვალებში ჩავიხედე და ჩემი შეეცდომა დავინახე, მერე კი გავიქეცი, რათა მის ჩემს თვალებში ჩაზედვა და საკუთარი შეცდომის დანახვა ვერ მოვსწრო... რაღაან მიყვარდა, მიყვარდა მიუხედავად ყველაფრისა, სიყვარულს კი პატიება უნდა შეეძლოს. მით უმეტეს, რომ არც მე ვიყავი ანგელოზი...

...ხალხმა ცოფიანი შემარქვა და ჩემზე ნადირობა დაიწყო. ჩემს მომმე მაწანწალებსაც დიდი უბედურება მოვუტანე – თითქოს მთელი ქალაქი აღსდგაო, სადაც მოიხელთებდნენ უპატრონო ძაღლებსა და კატებს, იჭერდნენ და სადღაც მიპყავდათ. ის დაჭერილები ქალაქის ქუჩებში აღარ მინახავს და მიეხედი, რომ რაღაც ცუდ ადგილას მიპყავდათ. იქნებ – იმ შარაგზაზე, სადაც ორი სიყვარული დაეკარგე? იმასაც მიეხვედი, რომ თუ არ გაეკეცლებოდი, მეც მათი ბედი მეწეოდა, და ამიტომ ისევ ტყეს, იალაღებსა და ბატკნებს დავუბრუნდი. მაგრამ ადამიანი აქაც არ მომეშვა, ქალაქის გარშემო ზაფანგები დაადგეს, მგლის ორმოები გათხარეს,მოწამლული ხორცის ნაჭრები მიმოაბნიეს... გულში მეცინებოდა. ქალაქში ვერ დამიჭირეს და ტყე და ღრე ხომ ჩემი სტიქია იყო! ადამიანებთან და მხეცებთან ერდღროულმა ურთიერთობამ ორმაგად და სამმაგად გამიმაწრთო. რა მახე უნდა დაეგო ადამიანს, ვერ გამომეცნო და არ აკრიდებოდი! ყნოსვა ისე გამეცხოველდა, ტურა-მელეზე ნაკლებად არ ვკითხულობდი ბუნების წიგნს. ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნამ ხომ საერთოდ მოუზელთებელი გამხადა... მაგრამ ახლა ჩემ გამო ტყის ბინადარნი იჩაგრებოდნენ – ჩემთვის დაგებულ მახეებს ეწორებოდნენ. ერთი სიტყვით, სადაც წავედი, ყველგან სიკეთილი მივიტანე. ყოველნაირად ვცდილობდი, ადამიანის მიერ დაგებული მახეები მეპოვნა და დამენშნა, რათა სხვა ცხოველი არ გაბშულიყო შიგ. ზაფანგს მივაკვლევდი თუ არა, მის გარშემო მიწას მოვფხოჭნიდი, მოვთხრიდი, რკინას გამოვაჭენი, რათა დაენახათ, სუნი ეგრძნოთ და ორორდებოდნენ; მგლის ორმოებსა და მოწამლულ ხორცის ნაჭრებს მიეშარდავდი, რათა არავინ გაკარებოდა. მაინც ბევრი იღუპებოდა. რა შემეძლო? მე მარტო ვიყავი, ჩვენს წინააღმდეგ კი მთელი ქალაქი ამხედრებულიყო.

მინახავს, როგორ წრიალებდა მელა ზაფანგში, როგორ ხაოდ, კბილებს აკაპუნებდა და მზად იყო, საკუთარი თათი გადაეღრღნა, ოღონდ კი გათავისუფლებულიყო. თუ

დასასრული. დასაწყისი იხ. "ნაკადული" №3, 99წ.

ადამიანები დროზე არ მოვიდოდნენ და არ მოიულბნენ ბოლოს მის ტანჯვას, მეორე ან შესამე დღეს, დაუძლურებული და გასავა-თებული, ყორნებით გარშემორტყმული და თავის ბეღს შერიგებული იწვა. ყორნების მერე ტურები ეწვეოდნენ, მერე — ჭიაღუა და მალე მისგან საფანგში გაჭედილი თათი და წითელი ბეწვის ნამსხვრევიღა რჩებოდა.

ჩემი ბოლო ზამთარი თოვლნაკეიანი გამოდგა. ბუნების შვილებს საკვები მოაკლდათ და განსაკუთრებით დიდ ზარალს მათ მოწამლული ზორცის ნაჭრები აყენებდა. წამდაუწუმ მხვდებოდა ცხოველისა თუ ფრინველის გაფიჩხებული ფიტულები, არც თოფისა და არც კლანჭის კვალი რომ არ ეტყობოდათ. სანაბეეროდ მშიერი დავწან-წალებდი, მაგრამ მოწამლულ ზორცს მაშინვე ვცნობდი და პირს არ ვაკარებდი. ეიცოდი, კოკა წყალს თუდან ვერ მოიტანდა, და რადგან ყ

ამოქმედდა "ბავშვთა უფლებების ცენტრი"

პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობას შეუდგა "ბავშვთა უფლებების საქალაქო ცენტრი", რომელიც პირველი ასეთი ტიპის დაწესებულებაა საქართველოში.

ცენტრში მომუშავე იურისტების, სოციოლოგების, პედიატრების და ფსიქოლოგების მიზანია შეისწავლონ, ირღვევა თუ არა ქვეყანაში ბავშვთა უფლებები და ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში შეიმუშაონ სათანადო რეკომენდაციები. ცენტრმა მომაზადა და გამოსცა თბილისის სკოლების დირექტორებისთვის განკუთვნილი ბროშურა ბავშვთა უფლებების საკითხზე. მალე ასეთივე ბროშურებს მიიღებენ მასწავლებლები, მშობლები და რაღა თქმა უნდა, ბავშვები.

უდედმამოებს საკუთარი სახლ-კარი ეძნებათ

საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივითა და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ძეგვის უპატრონო ბავშვთა სახლის 40 ბინადარი წალკის რაიონის სოფელ ბედიაში ბერძნების მიერ მიტოვებულ სახლებში ჩასახლდნენ. ამ ბავშვების აღზრდა ბედიის მონასტრის ბერ-მონაზვნები იზრუნებენ. წალკის რაიონის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბედიაში დამკვიდრებულ ბავშვებს მიწის ნაკვეთები გამოუყოს, სოფლის ბერძნულ სკოლაში კი მათთვის ქართული სექტორის კლასები გაიხსნება. მომავალი სასწავლო წლიდან ეს სკოლა ქართულად გადაკეთდება.

სტიპენდიები ოგლებისათვის

აშშ-ს არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვთა საერთაშორისო დახმარების" წარდგინებით ქალბატონი მარინა მირიანაშვილი "ოლივერის პრემიით" დააჯილდოვეს. ამ პრემიას, რომელსაც ხშირად უწოდებენ ხოლმე "ჯილდოს გულის ჰუმანიზმისთვის", იმ ადამიანებს ანიჭებენ ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ბავშვებზე ზრუნვაში. გარდა ოლივერის გამოსახულებიანი ბრინჯაოს კაკუნასი, ქალბატონ მარინას რამდენიმე ათეული ათასი დოლარიც გადასცეს. ამ თანხით მან შექმნა ფონდი, რომლის მეშვეობითაც აპირებს სტიპენდია უხადოს იმ ობოლ და მშობლების მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს, რომლებიც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ

ინვალიდი ბავშვები თხილამურებზე

ბავშვთა დახმარებისა და თანადგომის საერთაშორისო ასოციაცია "ფრენკის" ინიციატივით კახეთის ინვალიდ ბავშვთა პანსიონის 9 ბინადარი გუდაურში სათხილამურო სპორტს ეუფლებოდა. ეს შესაძლებელი გახდა ასოციაციასთან არსებულ სპორტულ ორგანიზაციაში დამზადებული სპეციალური სპორტული ინვენტარის წყალობით.ამ ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩამოტანილი დანადგარების მეშვეობით ინვალიდმა ბავშვებმა შეძლეს აეთვისებინათ თხილამურების ხმარების ჩვევები. ასოციაცია "ფრენკს" განზრახული აქვს მსგავსი ღონისძიებები საზაფხულო სპორტის ნაირსახეობებშიც ჩაატარონ და საერთოდ უფრო ინტენსიურად იზრუნონ ინვალიდი ბავშვების სპორტში ჩაბმაზე.

ავადმყოფთა რეაბილიტაციის პროექტი

გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური ხელშეწყობის წყალობით გურჯაანის ცერებრული დამბლისა და პოლიომელიტის ნარჩენი მოვლენებით დაავადებულ ბავშვთა სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში დაიწყო ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. პროექტით გათვალისწინებულ მკურნალობა-რეაბილიტაციას საქართველოს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ჩაატარებენ.

დასახული მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილი იქნება სკოლა-ინტერნატის სამედიცინო პერსონალის, აღმზრდელ-პედაგოგების შესაბამისი გადამზადება და სარეაბილიტაციო აღჭურვილობის განახლება. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ბავშვებზე ზრუნვის სისტემა, შეიქმნება საინფორმაციო ბანკი აღსაზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემებით, ინვალიდი ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო პოლისებით.

საბოლოო ჯამში შესაბამის დახმარებას მიიღებს 187 ბავშვი, 90 ექიმს, პედაგოგსა და აღმზრდელს კი ჩაუტარდება სათანადო ტრენინგი.

ვიქტორინა "ჭკუის კოლოფებისათვის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. პირველი ქართული ოპერის "დარეჯან ცბიერის" ავტორია...

ა) ... ნიკო სულხანიშვილი
ბ) ... ვიქტორ დოლიძე
გ) ... მელიტონ ბალანჩივაძე
დ) ... ზაქარია ფალიაშვილი

2. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, შექსპირის ტრაგედიების უბადლო მთარგმნელი...

ა) ... სერგეი მესხი
ბ) ... ივანე მაჩაბელი
გ) ... გიორგი ერისთავი
დ) ... ივანე კერესელიძე

3. ევროპაში არსებობს ერთადერთი დიდი საჰერცოგო...

ა) ... მონაკო
ბ) ... ნიდერლანდები
გ) ... ლიხტენშტეინი
დ) ... ლუქსემბურგი

4. ამ შენობაში (არქიტექტორი ა. კალგინი), რომელშიც ამჟამად საჯარო ბიბლიოთეკაა განლაგებული, ადრე იყო...

ა) ... სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი
ბ) ... საქართველოს ისტორიის მუზეუმი
გ) ... სათავადაზნაურო გიმნაზია
დ) ... სახაზინო თეატრი

5. ქართველმა მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ 2მ. 16სმ. სიმაღლე დასძლია და ჩემპიონობა მოიპოვა ოლიმპიურ თამაშებზე, რომლებიც გაიმართა...

ა) ... მიუნხენში
ბ) ... მელბურნში
გ) ... რომში
დ) ... მოსკოვში

6. ამ ქართულ სასმისს ჰქვია...

ა) ... კულა
ბ) ... აზარფეშა
გ) ... კათხა
დ) ... გოზაური

1

2

3

4

5

6

"ჭკუის კოლოფის" წინა ტურის სწორი პასუხები:

1. ნილოსი; 2. სიმონ ჩიქოვანი; 3. პოლონელი გოგო-ბიჭები; 4. ადამაშვილი; 5. მარტინ ბეჰაიმი 6. ჰეროდოტე; 7. საბერძნეთი.

ახალი ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილი მჭირს მაინც...

შევეცრემლე ჩანჩქერს,
კოდორსა და შამთას,
მოვიარე ზეცა,
გადვიარე ცხრა მთა.

ტკივილი მჭირს მაინც
იმ გარდასულ ჟამთა,
ნაცარტუტად მექცა,
რაც აქამდე მწამდა.

შემოგევლოს თავი ჩემი

(სამშობლოსადმი)

ჩემი სულის ბაჯაღლო ხარ,
ოქრო-ვერცხლი და ალმასი,
დამამყოფე ყვარლის მთებში,
სათაფლიას წყალი მასვი.

შენი ჭირიც მეწუხება,
თუმც დარდი მჭირს თავად ასი,
დამგულე დავითისად
ტაო, ცხუმი და არმაზი.

ლექსშიც ღვთიურს შეგადარე,
გესათუთე აზიზმაზიზ,
შემოგევლოს თავი ჩემი,
რა ტურფა ხარ, რა ლამაზი!

თამარ ბურნაძე

აფსუს!..

შევავედრებ უფალს
სამაჩაბლოს და
ცხუმს,
მოუთმენლად ველი
ბზობასა და თათხუნს.

მაგნოლიებს ვხედავ
სიზმრად ყოველ
ზაფხულს...
აჩიგვარას აწევს
მწუხრის ნისლი,
აფსუს!..

ვულოცავთ!

ნერგი

ჟურნალ "ნაკადულის" რედაქცია გულითადად ულოცავს გაზეთ "ნერგს" 75 წლის იუბილეს.

საერთო დაბადების დღეს ვულოცავთ ყველა თაობის ჟურნალისტებს, კოლეგებს, რომლებსაც სხვადასხვა დროს უმუშავიათ "ნორჩ ლენინელში" თუ "ნერგში" და რომლებიც:

ყველასგან გამორჩეული სიყვარულითა და რუდუნებით ამზადებდნენ გაზეთის ყოველ ნომერს.

ყოველთვის შესაშური გულისხმიერებით იზიდავდნენ და სამერმისოდაც ინარჩუნებდნენ, იმეგობრებდნენ მკითხველს, ავტორებს.

დედური მზრუნველობით უამებდნენ სატკივარს შეჭირვებულთ, გზას უკაფავდნენ ნიჭით გამორჩეულებს, აკვალიანებდნენ რჩევისთვის მოსულთ, გულის სითბოს უწილადებდნენ ყველას — დიდსაც და პატარასაც.

არასდროს უდალატიათ ამ ფუძემდებლური ტრადიციისთვის "ნერგელებს", დღესაც ერთობლივ დაჰკანკალებენ, სულს უბერავენ გაზეთს, ერთად ებრძვიან მისი გამოშვებასა თუ რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა სიძნელეს, დროდადრო რომ იჩენს ხოლმე თავს, და ერთად იმარჯვებენ, იმარჯვებენ იმიტომ, რომ მათი უპირველესი საზრუნავ-საფიქრალი ნორჩი მკითხველი და მისთვის განკუთვნილი გაზეთია.

"ნერგელებო", ძველებურადვე მხნედ, ყოჩაღად იყავით, ნურასოდეს დაგლეოდეთ სითბო, სიკეთე, სიყვარული!

„შენ გენაცვალე, ბაბაია“ — შეჰყვირა გოგი დოლიძემ, როცა ნეკა სებისკვერაძეს მოუსმინა

პრეზიდენტის სტიპენდიატი

ნეკა სებისკვერაძე თბილისის 57-ე სკოლის IX-ე კლასის მოსწავლეა. სცენაზე პირველად 6 წლისაა იმღერა. შესრულებული აქვს ქართველ კომპოზიტორთა 50-მდე სიმღერა, სიმღერებს თვითონაც წერს. არის ბავშვთა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს ფილარმონიის სოლისტი. გამორჩეული ნიჭისა და შრომისმოყვარეობისთვის ნეკას პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნა.

თუმცა ნეკას ოჯახში ყველა მღერის, მშობლები თავიდან მაინცდამაინც დიდ იმედებს არ ამყარებდნენ მის მუსიკალურ მონაცემებზე. ხუთი წლის რომ იყო, დედამ მომღერალ დავით ტურიაშვილთან მიიყვანა. ერთხანს კი იარა ნეკამ ბატონ დავითთან სიმღერის გაკვეთილებზე, მერე კი აღარ მოინდომა, აღარც მშობლებს დაუძალებათ. მას შემდეგ ვოკალში არცერთ სხვა პედაგოგთან არ უმუშავია, მხოლოდ ფორტეპიანოს კლასში სწავლობდა, მე-9 მუსიკალური სკოლის შვიდწლედი დამთავრა.ექვსი წლის იყო ნეკა, როცა კულტურის მუშაკთა სახლის სცენაზე რუსუდან სებისკვერაძის სიმღერა “თოჯინა” შეასრულა. მოხიბლული მსმენელი დიდხანს უკრავდა ტაშს პატარა შემსრულებელს. კულისებში გოგონა მომღერალმა გოგი დოლიძემ ხელში აიტაცა და გახარებულმა შეჰყვირა: “შენ გენაცვალე, ბაბაია!” შემდეგში ნეკა და ბატონი გოგი კონცერტებზე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მოგვიანებით ნეკამ გოგი დოლიძის ხსოვნის გალაქტიონის სიტყვებზე დაწერილი საკუთარი სიმღერა “ხსოვნა” უძღვნა.

პირველი დიდი აღიარება ნეკას რვა წლის ასაკში ეწვია, როცა ბავშვთა სიმღერების რესპუბლიკურ კონკურსზე მთავარი ჯილდო — გრან პრი მოიპოვა. 1994 წელს ბორჯომში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალ “ბროლის ნაძვზე” ნეკამ ლაურეატის წოდება დაამსახურა. სწორედ ამ ფესტივალზე შენიშნა რეჟისორმა იგორ ფილიპეკმა პატარა ნიჭიერი მომღერალი და კინოს 100-წლიოთავისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. რა თქმა უნდა, ნეკა ძალიან ღელავდა : კონცერტში ქართული ესტრადის ყველა ვარსკვლავი მონაწილეობდა, გარდა ამისა, მას პირველად უნდა ემღერა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. კონცერტზე ნეკამ ჩინებულად შეასრულა 60-იანი წლების პოპულარული ორი სიმღერა — რევაზ ლაღიძის “ყვავილი თოვლზე” და სულხან ცინცაძის “შემოდგომის ნისლია” და მსმენელებისა და უფროსი კოლეგების გულრწყვილი მოწონება დაიმსახურა.

ამის შემდეგ ნეკას ხშირად იწვევდნენ ყველაზე მნიშვნელოვან კონცერტებსა თუ ღონისძიებებზე. გოგონას ვოკალურ მონაცემებით მოხიბლული ცნობილი კომპოზიტორები ნეკას თავის სიმღერებს სთავაზობდნენ. ნორჩი მომღერლის პირველ მუსიკალურ ალბომში “დებიუტი” (მის ჩაწერაში ნეკას ფირმა “რენესანსმა” გაუწია ფინანსური დახმარება) ცნობილი კომპოზიტორების ბიძინა კვერნაძის, ვაჟა აზარაშვილის, ოთარ ტატიშვილის, ნატო გელაშვილის სიმღერებთან ერთად შევიდა ნეკას მიერ დაწერილი ორი სიმღერა “ზედა” და “პიპელა”. სადებიუტო ალბომისთვის პატარა შემოქმედმა ახალ სიმღერებთან ერთად, ჩაწერა 60-იანი წლების პოპულარული სიმღერები, რომლებსაც ცნობილმა მუსიკოსმა ლევან ჩხარგრეშვილმა თანამედროვე არანჟირება გაუკეთა.

ნეკას მშვენიერმა ხმამ და შესრულების მანერამ მარტო ქართველი მსმენელის გული როდი მოინადირა. საქართველოში სტუმრად მყოფმა იტალიელმა მუსიკოსებმა სათანადოდ შეაფასეს გოგონას ნიჭი და იგი სამი წლით მილანში, ლა-სკალას ოპერასთან არსებულ სასწავლებელში მიიწვიეს. მაშინ ნეკა მხოლოდ 11 წლის იყო, იტალიაში გამგზავრებას და ცხოვრებას მშობლების გარეშე ვერ შეძლებდა და სწორედ ამიტომ იტალიელების მაცდუნებელი წინადადებაზე უარის თქმა მოუხდა. შარშან თბილისში გამართული საქართველო-ისრაელის მეგობრობისადმი მიძღვნილ კონცერტზე ნეკამ ისრაელის კულტურის მინისტრი იციკ მოშე გაიცნო. გოგონას შემოქმედებით მოხიბლულმა მინისტრმა ნეკა გასტროლებზე მიიწვია ისრაელში, სადაც ნორჩი მომღერალი 2000 წელს აპირებს გამგზავრებას.

გასული წელი ნეკასათვის მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა. იგი ფილარმონიის სოლისტი გახდა და ახლა დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული ყველა კონცერტის უცვლელი მონაწილეა. ახალგაზრდა შემოქმედმა რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ კონკურსში გაიმარჯვა და პრეზიდენტის სტიპენდია დაამსახურა. ამ საპატიო ჯილდოს მოპოვებაში ნეკას ძალიან დაეხმარა მომღერალ ნანი ბრეგვაძის, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილისა და კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის რეკომენდაციები. სტიპენდია ახალი ალბომის შექმნაში წაადგება. უკვე რეპერტუარიც შეარჩია. მომავალ ალბომში კომპოზიტორების გია მაჭარაშვილის, ეკა თევზაძისა და ნინო ომიაძის ახალ სიმღერებთან ერთად მსმენელებისათვის უკვე ცნობილი სიმღერები — ნუგზარ თუშიშვილის “სამშობლო” და ნატო გელაშვილის “მოგონებები” შევა. ხსენებული კომპოზიტორების სიმღერებთან ერთად, ნეკა შესრულებს თავისი სათაყვანებელი პოეტის გალაქტიონის ლექსზე შექმნილ საკუთარ სიმღერას “თოვს”. ერთხელ, როცა ლევან ჩხარტიშვილი სტუდიაში ამ სიმღერის არანჟირებაზე მუშაობდა, ცნობილი მუსიკოსი ჭაბუა ამირანაშვილი შემოესწრო და ისე მოეწონა ნეკას ქმნილება, რომ კომპოზიცია საქსაფონის ელერადობით გაამდიდრა. უამრავი თაყვანისმცემელი შემატა ნორჩ შემოქმედს კომპოზიტორ ნატო გელაშვილთან დუეტში შესრულებულმა სიმღერამ “დედაშვილობა”, რომელმაც მრავალჯერ გაიჟღერა ცისფერი ეკრანიდან.

მიუხედავად თავისი პოპულარობისა, ნეკა მორიდებული და თავდაჭერილია, ძალიან უყვარს მეგობრებთან ყოფნა და მათთან გართობა. ყველას და ყველაფერს ფირზე აღბეჭდავს. უყვარს თეატრი და კარგი მუსიკა. კონცერტებზე რიგითი მსმენელის მსგავსად, აღრფთოვანებული უკრავს ტაშს უფროს კოლეგებს. დიდი სიამოვნებით უსმენს ჯაზსა და სოულს, თუმცა მუსიკალურ სამყაროში კერპი არ ჰყავს.

ნეკა სებისკვერაძეს გადაწყვეტილი აქვს პროფესიონალი მომღერალი გახდეს, თუმცა... სულაც არ ხიბლავს ის გარემოება, რომ ოცნების განსახორციელებლად ვოკალში პედაგოგთან მეცადინეობა მოუწევს.

ნანა მაყაშვილი

„ჭადრაკი, პოეზია, კომპიუტერი და...“

პრეზიდენტის სტიპენდიატი

– მრავალმხრივი გატაცებები გქონია. შენ, მგონი კომპიუტერისა და მუსიკის გარდა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ქართული ლიტერატურის წრეშიც დადიხარ. გეტყობა, სწავლა ძალიან მოგწონს.

– სიმართლე გითხრათ, მუსიკაზე უფრო მშობლების ხათრით დავდივარ, კომპიუტერი თავისი უსასრულო შესაძლებლობებით მიტაცებს, ქართული ლიტერატურა კი ბებიამ შემაყვარა. 5 წლის ვიყავი, როცა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნიდან" რამდენიმე ადგილი წამიკითხა, მეორე დღეს ეს სტროფები ზეპირად ვუთხარი ბებიას, ძალიან გაუკვირდა და ისევ სცადა: ახალი ნაწყვეტი წამიკითხა... ასე ვისწავლე პოემის 250 სტროფი. მინდა მთელი "ვეფხისტყაოსანი" ზეპირად ვისწავლო, თუმცა ასეთ მიღწევამდე ბევრი მაკლია. ქართული ლიტერატურის წრეში, რომელსაც ქალბატონი ფაცია პაიჭაძე უძღვება, ჩვენი მწერლების ცხოვრების, მოღვაწეობისა და მათი ნაწარმოებების გარდა, დამოუკიდებლად აზროვნებასაც ვსწავლობ. ფაცია მასწავლებელი სულ თავისუფალ თემებზე გვამუშავებს.

– წიგნების კითხვას თუ ასწრებ?

– კითხვა ძალიან მიყვარს. სათავგადასავლო რომანები მომწონს, სიამოვნებით ვკითხულობ ალექსანდრე დიუმასა და ჟიულ ვერნის ნაწარმოებებს.

– მომავალ პროფესიაზე არ გიფიქრია?

– არქეოლოგიაზე ვოცნებობ. ერთხელ ჯურნა ნადირაძის წიგნი წავიკითხე ქვის ხანის ადამიანებზე. მას შემდეგ არქეოლოგიამ გამიტაცა. ალბათ ძალიან საინტერესოა ექსპე-დიციაში მონაწილეობა, ძველი სა-მარხების აღმოჩენა.

ლიტერატურის გარდა ისტორია მიყვარს. განსაკუთრებით ისტორიული პიროვნებების ცხოვრება და მოღვაწეობა მაინტერესებს. ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზე დავით აღმაშენებელმა მოახდინა. მან ზომ შეუძლებელი შეძლო: საქართველო გააერთიანა. ჩვენი მეფე დავითი ზოგიერთი თვისებით მსოფლიოს უდიდეს მეფეს – ალექსანდრე მაკედონელს წაგავს. ალექსანდრე მაკედონელი პიროვნული თვისებებითა და სამხედრო წარმატებებით აღტაცებული ვარ.

– ოჯახში სამი ძმა ხართ. საერთო გატაცებები თუ გაქვთ?

– თამაზი და გიორგი ჩემზე უმცროსები არიან. რაც მე მომწონს, მათთვის ჯერჯერობით საინტერესო არ არის. ისე, ფეხბურთს ერთად ვთამაშობთ.

– თემურ, გამოდის , რომ ნიჭი, შრომისმოყვარეობა და ცოდნა დაგიფასდა. პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდი.

– პრეზიდენტის სტიპენდიის მოსაპოვებელი კონკურსის შესახებ ტელევიზიით გავიგე. გამარჯვების იმედი არც მქონია, კონკურსში ჩემზე ნიჭიერი, გამოცდილი და ასაკით უფროსი მოსწავლეები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. როცა რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში მითხრეს, რომ გავიმარჯვე, არ დავიჯერე, ვიდრე თვითონ არ ვნახე ჩემი გვარი სტიპენდიატთა სიაში. ეს დღე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იყო. სტიპენდიით ისეთი ნივთი მინდა შევიძინო, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე გამომადგება.

ესაუბრა ნანა მაყაშვილი

გვიკარნახეთ თემა

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი

ძალიან გვინდა უფრო მეტი ვიცოდეთ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის, კომპიუტერების მეფის ბილ გეიტსის შესახებ. თუ შეიძლება გვიამბეთ მის კომპიუტერულ ფირმაზე, მის მიერ განვლილ გზაზე, პირად ცხოვრებაზე.

ნუგზარ, თამთა და გარსევან ხუნდაძეები

ბილ გეიტსის სრული სახელია William Henzy Gates III დაიბადა 1955 წლის 28 ოქტომბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სიეტლში. არის მდიდარი და დიდგვაროვანი ოჯახის შვილი. მამა მაღალი რანგის კორპორაციული იურისტია, დედა იყო სპეციალური პირი United Way-ს ეროვნულ კომიტეტში ბანკის დირექტორი და ვაშინგტონის უნივერსიტეტის გამგეობის წევრი. გარდაიცვალა 1999 წლის ზაფხულში

სიცოცხლეში პირველი კონტრაქტი გეიტსმა ბავშვობაში დადო თავის დასთან. კონტრაქტის თანახმად, მან დის ბეისბოლის ხელთათმანებით სარგებლობის უფლება მოიპოვა. სწავლობდა კერძო პრესტიჟულ სკოლებში, ჰარვარდის უნივერსიტეტში, საიდანაც გამოაგდეს.

კომპიუტერებმა ჯერ კიდევ მაშინ გაიტაცა, როცა კერძო სკოლის Lake Side School-ის მოსწავლე იყო. აქ შეხვდა გეიტსი პოლ ალენს, თავის მომავალ კომპანიონს. 1975 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რომ მიაბიჯებდა, პოლენმა თვალი მოკრა ჟურნალ Popular Electmonics-ის 1975 წლის იანვრის ნომერს, რომლის ყდაზე პირველი პერსონალური კომპიუტერის- MITS Altaiz 8800-ის ფოტო იყო მოთავსებული. სწორედ ამ ჟურნალით, სწორეთ ამ ფოტოთი და მისი თანმხლები ტექსტით დაიწყეს ყველაფერი...

1977 წელს ბილ გეიტსმა და პოლ პოლენმა დააფუძნეს კორპორაცია Microsoft. გეიტსის ჭირნება ბოლო დრამდე დაახლოებით 18 000 000 000 დოლარს შეადგენდა. ჰყავს ცოლი მელინდა ფარენჩი, Microsoft-ის ბიზნეს მენეჯერი და ერთი შვილი.

დღეს კომპიუტერული ფირმა "მაიკროსოფტი" თავისი 16 ათასიანი მომსახურე პერსონალით მსოფლიოში უდიდესი, უძლიერესი და უმდიდრესი ფირმაა. როგორც ამბობენ, მისი საბაზრო ფასი 25 მილიარდი აღემატება "ჯენერალ მოტორსის", "ბოინგის", "ფორდის", "ისთმენ კოდაკის" ღირებულებას.

ბილ გეიტსს, რომელსაც მოფერებით "ტრილის" (ტრილიონერის შემოკლებული ფორმა) ეძახიან, შეუძლია თავისი ჯიბის ფულით ყველა კონკურენტის მიერ ერთ წელიწადში შექმნილი პროდუქცია შეიძინოს და მარტო დარჩეს ბაზარზე, ძალაუფლებით კი ის აშშ-ს პრეზიდენტს თუ ჩამორჩება. "მიკროსოფტის" ზღაპრულ აღმასვლაში დიდი როლი ითამაშა ბილის მშობლების კავშირებმა IBM-თან. სწორედ ამ კონტაქტების წყალობით "ტრილიმ" შეძლო 1981 წელს იგ ლუე-სგან IBMPC-თვის საოპერაციო სისტემის დიზაინის შექმნის შეკვეთა მიეღო აქედან დაიწყო ბილ გეიტსის ბიზნესის უნახავი წარმატება.

31 წლის ასაკში ბილ გეიტსი მილიონერი გახდა, მისი ამჟამინდელი პირადი ქონება აღემატება ზოგიერთი ქვეყნის საერთო შემოსავალს "მიკროსოფტში" მუშაობის ჯოჯოხეთური რიტმის გამო ზშირად, ფირმის თანამშრომელთა სამუშაო დღე 15 საათს

გრძელდება, მაგრამ წასვლა არავის უფიქრია. "წამიერი შენელება, წამიერი განებივრება საკუთარი დიდებით და დავიღუპებით"-"ტრილის" ამ ცხოვრებისეულ დევიზს იზიარებს ყოველი მისი თანამშრომელი.

თავად ბილ გეიტსს მიაჩნია რომ იგი უმალ ტექნოლოგია, ვიდრე მეცნიერი ან ბიზმესმენი. ხომ აურაცხელი ქონების პატრონია, "ტრილის" სპორტული ფეხსაცმელი, ჯინსები და უბრალო მაისური ყველანაირ ჩასაცმელ-დასახურს ურჩევნია. მოიკიდებენ ზურგზანთებს, ორადგილიან

კარვებს, დაიჭერენ ხელში ანკესებს და ასე, ყოველგვარი "ლიმუზინების", პირადი დაცვისა და მობიფონების გარეშე მოგზაურობენ ბილ და მელინდა გეიტსები. ჭორფლიანი პირი-სახე, დიდრონნი, ცოცხალი თვალები სათვალის მიღმა, მომსხო ტუჩები,

150 დოლარიანი კოსტუმი, სარეცხმანქანაგამოვლილი დაჭმუჭნული პერანგი, სამ დოლარად შეკრეჭილი თმა- ასეთი გახლავთ მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანის იმიჯი, რომელიც "დაბნეულ ფარმაცევტს" ან "უნივერსიტეტის პროფესორს" უფრო შეეფერება. იმავდროულად გეიტსს შეუძლია 30800000 დოლარი გადაიხადოს ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერებში, იცხოვროს 4500კვმ ფართის სახლში ვაშინგტონის ტბის პირას, ჰქონდეს თითო "ფერარი", "პორშე", "მერსედესი" და "დალექსუსი".

ბილ გეიტსს განზრახული აქვს, მის შემდეგ რაც 50 წელი შეუსრულდება, ფირმის მოგების 95% ქველმოქმედებისათვის გაიღოს, შვილს კი საკუთარი 5% დაუტოვოს. კომპიუტერების გენიოსის გამოთვლით, ეს ხუთი პროცენტი რამდენიმე მილიარდი იქნება.

გიორგი ლეონიძე - 100

"გოგლა ლეონიძეს - ქართულ მიწაში ყლაბიერ ჩაფლულ პოეტს", - ასე წაიწერა დიდმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის დრაზე გიორგი ლეონიძისათვის ნარეკარ წიგნს.

მართლაც, ყლაბიერ იყო ჩაფლული ალეფი იმად ფეფილი ლედის ცრემლით ლეჯად გადაშენილ, გულნილდელა ნინიას მიერ მრავალგზის გადაშავენილ მმიმლოვინ მიწაში, რომელსაც ასე ესათოვმდა სამმიმლოვაკვიანეფილი ჩორეხი, რომელზეც ცალრეა ირემიანი ფაეხეფენმდა სიკვდილამდე სიფაკრეულის მიმლოდინე ფოფალა, მძიმედ დაამიჯრდა სოფლის მამმის დამჩრემილი- გულიდან მხედველი ციციკრე, რომელიც მარიცასავით ლამაჯ მრაწეულის ფავილსაც ამავარვარეფდა საკუთარი წიაღიდან და ფერფად აკვავენილ ნაფლის ხესაც ამაამრალეფდა...

ამ მიწით არის ნასაზრდოები ლეონიძის პოეზია და პრაზა, სამეცნიერო შრომები, მთელი მისი შემოქმედების ეპოქა. ლეონიდან ლეონსში, სტრიქონიდან სტრიქონში გადადის ამ მიწის განუმეორეფელი სურნელი, სამშობლოს დასტრიალეფს "მუხლადი, მედუბერი", "მაძღარი" ქართულით ნათქვამი გოგლას ფიფელი სიტყვა...

ბეოს სრულიად საქართველო აღნიშნავს დიდებული პოეტის 100 წლისთავს. გთავაზობთ გიორგი ლეონიძის ახლო ნათესავის - მიხეილ გულოსანელის მოგონებებს პოეტის ფრმების შესახებ.

მახსოვს დედაჩემმა მითხრა: შვილო, ხვალ მამიდებთან უნდა გადავიდეთ პატარძეულში, გვეპატიჟებიან, რველი აქეთ "თაფლობისაო". 1908 წლის ივლისი იდგა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მამიდებს ბევრი ფუტკარი ჰყავდათ და თაფლით პირს ჩაკიტკბარუნებდი. თანაც ახლოს გავიცნობდი ჩემს მამიდაშვილებს.

სამი მამიდა მყავდა. სამივენი ფოფოდიები იყვნენ. სოფიო მამიდა–ლეონიძის ქმრივი, კეთილი, დინჯი, ტკბილმოუბარი და კელაპტარივით მოყვანილი იყო, გარეგნობით ქართველი დედის განსახიერება გახლდათ. ხუთი შვილი ჰყავდა. სოფიო მამიდას უმცროსი და მაიკო. კი, როგორი ღვთისნიერი ადამიანიც ბრძანდებოდა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მისი სახე საუცხოოდ არის დახატული გიორგი ლეონიძის მოთხრობა "დედა მაიკოში".

მეორე დღეს მე, დედაჩემი, ჩემი ძალუები ჰელო და ეკატერინე თავიანთი შვილებით დილაადრიან ფეხით გავუდექით გზას. გზადაგზა მინდვრის ყვავილებს ვკრეფდით. მხიარული ყიეინით მივდიოდით. მალე მივედით პატარძეულში ძეძვით შეღობილ ალაყაფის კართან შეეჩერდით. იქაურობა დგვილ-მოკრიალებული იყო. ღობის გ

ყოლებით ნაირ-ნაირი ყვავილები ყვაოდა. ეზოში ორმოცამდე ძირი სკა იდგა. სკების ირგვლივ საამოდ ზუზუნებდნენ ფუტკრები. ეზოს ერთ კუთხეში ბებერი ფშატის ხე იყო წაწოლილი, რომლის წინაც ძველი, ხავსიანი მორი ეგდო.

ეზოში დიდი ფუსფუსი იყო. თონეში პურს აცხობდნენ; დედაკაცებს სოფიო მამიდა გამოეყო, მოგვეგება და სიყვარულით მოგვიკითხა, მერე კი, რადგან თავად არ ეცალა, თავის უფროს ქალიშვილს ევგენიას ჩააბარა ჩვენი თავი.

აივანზე რომ ავედით, ეზოში მუხის კუნძზე ჩამომსხდარ რვა-ცხრა წლის ბიჭებს მოვკარი თვალი. მათში ერთი გამოირჩეოდა ჩაცმულობითაც და გარეგნობითაც, შუაში იჯდა, მუხლებზე წიგნები ეწყო და ხელებს შლიდა, რაღაცას უამბობდა დანარჩენებს. ჭროღა, ცოცხალი მეტყველი თვალები ჰქონდა, თმა გვერდზე გადაევარცხნა. ალღოთი მივხვდი – ჩემი მამიდაშვილი გოგლიკ უნდა ყოფილიყო, რომლის ნახვა ძალიან მინდოდა. პატარა ნინო დედას კუდში დასდევდა, ერთთავად კალთაზე ეჭიდებოდა. სოფიო მამიდა მარანში შევიდოდა – თან შეჰყვებოდა, გარეთ გამოვიდოდა, – გამოჰყვებოდა. ეტყობა გვრეზოვა და მორცხვობდა.

სოფიო მამიდამ თავისებური ტკბილი ხმით გასძახა შვილს აივნიდან: "გოგლიკო, შვილო, შენი ტოლი ბიძაშვილები მოვიდნენ და შენ კი ახლა გამართე შენი "ნუცას სკოლაო". გაიქეცით გულიანთ წყაროზე და ცივი წყალი მოარბენინეთ, სტუმრებს ესიამოვნებათო.

ბიჭები მაშინვე წამოცვივდნენ. მარნიდან გამოარბენინეს კოკურები, ხელადები და ერიამულით გზაზე გაცვივდნენ. მალე პურის ცხობასაც მორჩნენ. სოფიო მამიდამ გამოიტანა წითელი ღვინო, ყველი, მწვანილი და ცხელ-ცხელი შოთებით გაუმასპინძლდა მეზობლის ქალებს, რომელთაც პურის ცხობაში წაა-შველეს ხელი (ეს ჩვეულება კახეთში დღემდეა შემორჩენილი). სოფიო მამიდამ მადლიერებით გააცილა ქალები: "თქვენი მეზობლობა და კარგად ყოფნა ნუ მომიშალოს ღმერთმა, ქალებო, დიდი მადლობა დახმარებისათვისო".

მალე გოგლიკომაც მკვირცხლად ამოირბინა ქართული კრამიტით გადახურული კიბე და ცივი წყალი მოგვართვა. ლიტრები მაგიდაზე დაეწყო, თამამად, ღიმილით გამოეშურა ჩვენსკენ, ვაჟკაცურად ჩამოგვართვა ხელი და ძალლები გადაკოცნა. ის ღამე მე და დედაჩემმა მაიკო მამიდას ოჯახში გავათიეთ. მეორე დღეს დილაადრიან გოგლიკოსკენ გავეშურე, როცა ვიკითხე გოგლიკო სად არის მეთქი? ოვითონ მიპასუხა თავისი რიხიანი ხმით: "აქა ვარ, მიშა, აქა, შემოდიო". მეც შევედი და რა დავინახე: გოგლიკო "ყეენივით" ფეხმორთხმული წამომჯდარიყო სარკმელთან მიდგმულ განიერ მამაკაცურ ტახტზე, გარს შემოეწყო უამრავი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები: "ივერია", "ცნობის ფურცელი",

"ამირანიანი", "ჯეჯილი" და სხვა.

მეც ჩამოვჯექი ტახტზე, გოგლიკო თან ჟურნალებს ფურცლავდა და თან ათას რამეს მიხსნიდა. ძალიან გამაკვირვა იმისმა ნაამბობმა საქართველოს წარსული საუკუნეების ისტორიაზე. ხელში აიღო "ქართლის ცხოვრების" ძველი დაფურცლული წიგნი და დიდი ადამიანივით მომმართა: "იცი, ეს რა ძვირფასი წიგნია, ათადან და ბაბადან დაწყებული მთელი ქართველი ერის ისტორია და მწერლობა აქა სწერიაო, — თქვა და წიგნი მოწონებით განზე დადო. მალე მოვიდა ჩვენი უფროსი ბიძაშვილი, ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამსახურებული პროფესორი, ხოლო იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი არჩილ ალექსის ძე გულისაშვილი.

ხელი ჩამომართვა, მომიკითხა: რისგან მოხდა, რომ გაბედე აქ გადმოსვლა "ადმოსავლეთის ქვეყნიდანაო". გოგლას კი თავზე ხელი მოუცაცუნა და უთხრა: "შენ, შენა "ხუნ-ხუზ" როგორა ხართ შენა და შენი არქივიო". გოგლიკომ ღიმილით, მაგრამ ცოტა ნაწყენი კილოთი თამამად უპასუხა: "მე კი არა ვარ "ხუნ-ხუზი", თვითონ იაპონიისა და მანჯურიის ჯარები არიან — ხუნხუზებიო".

"ბიჭოს, მაშინ შენ გცოდნია კიდეც ვინ არიან ნამდვილი "ხუნ-ხუზები". თუ ასეა, მათი მთავარსარდლებისა და გენერლების სახელებიც გეცოდინება, დამისახელე, თუ ბიჭი ხარო".

— რატომაც არა, — უთხრა გოგლიკომ და სათითაოდ ჩამოუთვალა იაპონიის ჯარის ყველა გამოჩენილი გენერალი, ვის რა თანამდებობა და რანგი ჰქონდა. თან იქით შეეკითხა; 'მათი მთავარსარდალი ო-ამა თუ გაგიგიათო" და, ორივეს გამომცდელად შემოგვხედა. მაგრამ პასუხი აღარ დაგვაცადა და სიტყვა გააგრძელა: "აკაკის ლექსი"ო-ამას ვენაცვალე" თუ წაგიკითხავთ, სწორედ ამ გენერალზე აქვს დაწერილიო".

-რუსეთის გენერლებს და სარდლებს თუ იცნობ? — შეეკითხა არჩილი.

როგორ არაო, — მიუგო გოგლამ და გვარებისა თუ თანამდებობების მიხედვით იმ დროისთვის ცნობილი ყველა მხედართმთავარი ჩამოუთვალა

მოიხსენია სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალი გენერალი სტესელი, გენერალი კუროპატკინი, პორტარტურის კომენდანტი ქართველი გენერალი გიორგი ყაზიბეგი იყოო, — დამატა.

— ყაზიბეგი? —გავიკვირვე მე.

— დიახ, ყაზიბეგი და არა ყაზბეგი, როგორც ახლა რუსულად ამბობთ, მიპასუხა და განაგრძო: კურაპატკინმა უბრძანა ყაზიბეგს: დაცალე ციხე-სიმაგრე, ჯარიანად უკან უნდა დავიხიოთო. ის ყაზიბეგი თურმე უარს იყო, თავისი გაიტანა და უკან არ დაიხია, ომიც წაგო მთლიანად.

არჩილი კიდევ შეეკითხა, კაშტანსკიზე რას იტყვიო.

— ის ხომ უბრალო ბრიგადის გენერალი არისო, — მოკლედ უპასუხა გოგლიკომ.

მეცა და არჩილიც განცვიფრებულები დავრჩით მისი მეხსიერებით. დიდი ადამიანივით მსჯელობდა.

გოგლიკო იმ დროს ჯერ სრული ცხრა წლისაც კი არ იყო.

გავიდა ხანი, გოგლიკო უკვე მოწაფეა, უკვე გოგლად იცნობენ. მისმა ერთხელ, 1910 წლის შემოდგომაზე, კვირა დღეს, როცა პანსიონში მივაკითხე, შემომთავაზა: ჩვენს მწიგნობართან — მოხუც ზაქარია ჭიჭინაძე მთაწმინდელთან წავიდეთო, გაგაცნობ და ახალ წიგნებსაც შევიძენთო. მე და გოგლა ხშირად დავდიოდით ქაშუეთის ეკლესიის ქვემოთ ბუკინისტებთან, ახლაც სიამოვნებით დავეთანხმე. როცა თუმანოვის ქუჩაზე №21 სახლს მივუახლოვდით, შორიდანვე დავინახეთ ალაფფის კარებთან ტაბურეტზე ჩამომჯდარი მოხუცი ზაქარია მთაწმინდელი. მისვლისთანავე გოგლა რიხიანად, დიდი ადამიანივით დაეხმაურა: "სალამი ძია ზაქარიავ! აი, კიდევ მოგიყვანე ერთი მუშტარი, წიგნების "მუსუსიო" და ჩემი გვარი უთხრა. მოხუცი წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მკითხა: რომლისა ხარ, შვილო, შაქრო გულისაშვილი - ზაქარია მღვდელი — შენი რა არისო?

— ბიძაა ჩემი, მამაჩემის ალალი ბიძაშვილი, — მივუგე.

— გულისაშვილებში შაქროს, იო-

უფროსმა ძმამ ლევანმა — თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კლასის მოსწავლემ — თავისი უმცროსი ძმა გოგლა თბილისში ჩაიყვანა და როგორც მღვდლის შვილი და ობოლი, თბილისის სასულიერო სკოლა — პანსიონში მოაწყო. პანსიონი ავჭალის და რეუტოვის ქუჩების კუთხეში, ახლანდელი ოქტომბრის ქუჩაზე მდებარეობდა. გოგლას ვხვდებოდი ან ჩვენსა, დიდუბეში უფროსი ძმა როცა მოიყვანდა, ან კვირაობით მე მივაკითხავდი ხოლმე პანსიონში. სებს და გაბოს ვიცნობ. ესენი ძველი მასწავლებლები არიან, ხალხოსნები, "წითელ რუბაშნიკებს" ეძახიან. სემინარიიდან გამორიცხეს. ამათ კი ხალხში გასვლა დაიწყეს, სოფლებს მოედვნენ, ხალხი უნდა გავანათლოთო, ახალი ხანა უნდა შევქმნათო.

ზაქარია თავის ღარიბულად მოწყობილ, აუარებელი წიგნებითა და დასტა — დასტა ჟურნალ —გაზეთებით გამოტენილ ოთახში შეგვიძღვა, თაროებზე, მაგიდაზე თუ

ფანჯრის რაფებზე წიგნები და გაზეთები ეწყო. გოგლა შინაურულად ესაუბრებოდა ძია ზაქარიას მწერლებზე, ისტორიაზე და თან არჩევდა წიგნებს. ორ საათს დავეყავით ძია ზაქარიასთან. გოგლამ მოაგროვა წიგნები, მეც ამოვირჩიე, მერე გოგლამ ჯიბიდან ამოიღო (მოდაში იყო შინ მოქსოვილი ქისები) პატარა ქისა და მაგიდაზე წამოაბნია ვერცხლის გროშები "აი, ძია ზაქარიავ, არ დამემდურო, რაც ფული მაქვს, გიტოვებ, იზარალებ თუ მოიგებ შენ იცი",

მეც გავიკარი ჯიბეებზე ხელი და გოგლას გროშებს ჩემი ფულიც ნიკოლოზის ვერცხლის მანეთიანი მივუმატე, ზაქარიამ გამოგვაცილა, გოგლა აიკალთა "კაზიონი ფორმის" ტუჟურკა. ბრტყელი ქამარი წინასწარ შეიხსნა, თავისი წიგნები მუცელთან შეიწყო, გაისწორა ტუჟურკა, ქამარიც მჭიდროდ მოირგო და თქვა: ასე სჯობია, ოხერი "ნადზირატელი" ვერ შეამჩნევს უბეში თუ წიგნები მიწყვიაო, პანსიონში ხომ უცხო წიგნების, მითუმეტეს ქართული წიგნების შეტანას და დედაენაზე ლაპარაკს სასტიკად კრძალავდნენ.

1927–28 წლებში, როდესაც სიღნაღში ვმსახურობდი, იქ გავიცანი გიორგი ლეონიძის კლასის ამხანაგი ქიზიყელი კოტე ჭრელაშვილი, პროფ[illegible]ით ბუღალტერი, ისე კი ცნობილი იყო, როგორც სცენისმოყვარე, როდესაც გაიგო, რომ გოგლა ლეონიძე ჩემი მამიდაშვილი იყო. მიამბო;

ეს იყო 1912 თუ 1913 წლის შემოდგომაზე. სემინარიის ინსპექტორი ბერ–მონაზონი ფილიპე სხვაგან გადაიყვანეს. მის ადგილზე დანიშნეს ქალაქ მინსკის სასულიერო სემინარიის შავრაზმელი ვინმე იაკუბოვიჩი, არარუსი მოსწავლეები შევიწროვებულები ვიყავით ყოველ მხრივ. დედაენაზე ლაპარაკს გვი-კრძალავდნენ, არც ქართული წიგნის კითხვის ნებას გვაძლევდნენ, კვების ნორმაც შეგვიმცირეს, ვედარ მოვითმინეთ, ჯერ ერთმანეთში ვწუწუნებდით. მოწაფეები უფრო იმან აგვაღელვა, რომ იაკუბოვიჩმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩვენს წერილობითს განცხადებას, მაგრამ როცა უფროსკლასელებმა მხარი დაგვიჭირეს და წაგვაქეზეს, ბოიკოტი გამოვაცხადეთ. ეზოში მოვაწყეთ გაფიცვა. პატარა კრება ჩავატარეთ, იაკუბოვიჩის ენატანიებმა ეს ინსპექტორს აცნობეს, რომელმაც დაურეკა პოლიციმეისტერს და იმან აფრინა ცხენოსანი კაზაკების ასეული ბუნტის ჩასაქრობად. მიტინგის მონაწილეებს წინასწარ ჰყავდათ გაფრთხილებული მეთვალყურე ბიჭები, რომლებმაც შორიდან შენიშნეს ქალაქის მხრიდან შავ ცხენებზე ამხედრებული, შავ ჩოხებში გამოწყობილი შეიარაღებული ყაზახები, რომლებმაც წყნეთის გზაზე მტვრის ბუღი დააყენეს (მაშინ სემინარია ახალი გადასული იყო ვაკეში, ქალაქიდან დაშორებით, ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში, ტრიალ მინდორზე), მეთვალყურეები მაშინვე მიხვდნენ, თუ რა ამბავიც იყო და შეგვატყობინეს, თავს უშველეთო. უფროსკლასელი მოწაფეები დაეშვნენ მდინარე ვერის ხევ–ხუვებში და ბაღებისკენ, ზოგი საწოლ ოთახებში დაიმალა. ეზოში მე და გოგლა დავრჩით, უკვე მოსალამოვებულიყო, რატომღაც პანსიონის სასადილოს სამზა-რეულოში [illegible] ცივდით, მეიხედ-მოვიხედეთ, თავშესაფარი ვერ [illegible] ბოლოს, გოგლამ ორ [illegible] ქვავებული სპილენძის ყურიანი ქვაბი დაინახა, მაშინვე ვეცით და სათითოდ შევძვერით ამ ქვაბებში, იმდენი მოვიფიქრეთ, სული რომ არ შეგეხუთოდა ცალ მხრიდან შეშის ნატეხები დავუყენეთ, მუცლებზე გავწექით და ქვაბსა და იატაკს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანიდან თვალყურს ვადევნებდით, როგორ შემოცვივდნენ სამზარეულოში ყიჟინითა და გინებით ყაზახები. გააფთრებულები. რაც კი ხელში მოხვდებოდათ, აქეთ-იქით ყრიდნენ. რამდენიმე საათს დავყავით ამგვარ შიშსა და ვაუბაში. აზრადაც არავის მოსვლია, ქვაბებქვეშ რომ ორი "ეშმაკი" ვიყავით მომწყვდეული. დაღამდა და მიწყნარდა ყოველივე. ბოლოს გოგლამ ამოიღავალა: "კოტე, ცოცხალი ხარ, სული ხომ არ შეგეხუთაო", როგორც იყო მივაწვდინე ხმა. გოგლა ჩემთან შედარებით ჯანიანი ბიჭი იყო, მე ხეხელა, თხელი ვიყავი. უცებ ქვაბი გადაყირავდა და გოგლა გათავი-სუფლდა ტყვეობიდან, მაშინვე ჩემთან მოვარდა და ჯაჯგური დაუწყო ჩემს ქვაბს, მეც მივეშველე და მალე გამოვძვერი. გარეთ გამოვედით, ჩამიჩუმი არ ისმოდა. დასაძინებელი ოთახის ფანჯრებში სინათლე ბუუტავდა. ჩვენც იქით გავეშურეთ, ზოგი ტიროდა, ზოგი იცინოდა და ერთმანეთს უამბობდნენ, რა ხრიკებით გადაირჩინეს თავი ყაზახების მათრახებისგან. ზოგისთვის ეცემათ კიდეც და გამწარებულები უკურთხავდნენ მტარვალებს. ბიჭებმა შეამჩნიეს ხელ-ჰირი და ტანსაცმელი გამურული რომ გვქონდა, ელექტრონის შუქზე ეშმაკებივით ვპრიალებდით, როცა მოვუყევით, თუ როგორ გადავირჩინეთ თავი, იმდენი იცინეს, რომ სულ გადაავიწყდათ თავიანთი სიმწარე.

ოდოუსერი



ერთადერთს

მე შენ მიყვარხარ,
ჩემი სიცოცხლე შენი თვალებით
სავსეა ახლა,
შენ რომ ჩამივლი და არას
მეტყვი, გული მიკვდება
ნეტავი, რა ვქნა?!...
მე რომ მიყვარხარ, ნუთუ ვერ
ხვდები?
მოჭრეს მტირალა ჩემი ვერხვები.
ზღვას რომ მიგიგავს შენი
თვალები,
იმ ზღვაში მარტო მე ვიკარგები,
მე ვკვდები ახლა...
როგორ დასტირის ჭრელი
ბულბული
მომაკვდავ ვარდებს,
როგორ დააკლდა სურნელება
თბილისის ბაღებს,
არც მზე ანათებს, არც წყარო
ავსებს,
შეწყვიტეს მთებმაც ჩუმი
ჩურჩული
და მიწყდა წამი...
ნუ გაიფიქრებ, თითქოს გარემო
უკვდავი არის,
ჩემთვის არ არის, კარგა ხანია
არ არის არვინ...
გზას რომ მინათებს, შენი
ღიმილის სხივები არის.

ოდოში, ოდოშხერი ნაყოფისა თუ თესლის მომწიფები ისეთ საფეხურს ჰქვია, როდესაც ის ჯერ კიდევ რბილი რძიანია.

დახორბილ, ოლონდ ჯერ კიდევ მწვანე და დაუჟურებელ ყანას, ოდოშხერს ჰგავს თქვენი შემოქმედებაც - ლექსი მოთხრობა, ჩანახატი, ნარკვევი თუ ნახატი. თითოეულ თქვენგანში არსებობს ჩანასახი, რომელსაც გაზრდა, მომწიფება დასრულება სჭირდება. იმიტომაც გადავწყვიტეთ, "ოდოშხერი" დავარქვათ განყოფილებას, რომელიც თქვენს ნაწარმოებებს დაეთმობა.

დიდგორის ომში ყვირის დავითი

თბილისო, რისთვის
დადუმებულხარ?
მტკვარო, შენ მაინც რად არ
ღრიალებ,
მღაწმინდის მთაზე მთვარე რომ
იყო,
ვერაგი მტერი იმას მიათრევს.
ნარიყალაზე ჯარი შეკრბება
და ომისათვის წყლულებს
იმებს,
დიდგორის ომში ყვირის
დავითი – ჯარი მიახლეთ,
ჯარი მიახლეთ!
მე ის ბრძოლები კვლავ
მესიზმრება
პირსისხლიანი, ღალატიანი,
არ ვიცი, ნეტავ რა მემართება,
როცა ახლოა დღე ომიანი...

●

მე დამესიზმრა შავი უდაბნო,
ნისლი ერია თბილისის
ბაღებს.
მე დამესიზმრა რაღაც
უაზრო
და საშინელი ცხოვრების
მახე.
და გავიგონე
ვიღაც კვნესოდა
ვიღაც სატრფოსთვის
მწარედ გოდებდა.
მე დავინახე მძვინვარე
ეშმა,
დამარცხებული რომ
ბრუნდებოდა.

სიკვდილს თვალებში ჩავხედე
მყისვე
და კვლავ ვიხილე ცხოვრება
მწარე,
მერე ვიტირე, რად დავიძინე,
სიზმარშიც კი დარდი თავს
იჩენს.
ცხოვრების ველზე ბევრი
ვირბინე,
ცოტა ვიცინე, ბევრი ვიტირე,
გულს დარდი მაწვა, რომ
გავიღვიძე,
ის წუხილი კი ვერ დავივიწყე.

ამ ლექსების ავტორი, ოთარ ნიჟარაძე თბილისის 43-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეა. როგორც თავად ამბობს, ოთარი "რეალისტია, მაგრამ ლექსების გამო რომანტიკოსობას აბრალებენ." უყვარს გალაქტიონი, ვაჟა, ნოდარ დუმბაძე. სიამოვნებით უსმენს ნელი ტემპის რომანტიკულ მუსიკას. მისი ოცნებაა მოეს წრის იმ დროს, როცა საქარ-თველო აყვავებული იქნება, ისეთი, როგორც დავით აღმაშენებლის დროს იყო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხრი დგებოდა

მწუხრი დგებოდა,
მწუხრი სისხლის, მწუხრი
ღალატის,
შემოსახიეს საქართველოს
ოქროს ხალათი...
გარს მოგვდგომოდა
ურჯულოთა ჯარი ჯალათი
და ირბეოდა საქართველო..
იყო ღალატი.

დრონი მიდიან

დრონი მიდიან, მე უკან ვრჩები,
ზღვისკენ მიმავალ სიზმარს
ვერ ვხედავ,
სად დაიკარგა ღიმილი
ხალხის?!
მწუხარებაა ჩვენ ირგვლივ,
დედა.
სად გაგიტაცებს ოცნება
ვრცელი,
შემოვირბინე სიცოცხლის
ველი...
სიმწარე მეფობს, ოფლშია
ხალხი
და არსად არის სამოთხის
ბაღი.
აღარ იქნება ცხოვრება ლაღი,
წავა სიცოცხლე და წავა
ხალხი...
ჩვენც ხომ ეს გველის, აქ რომ
ვიწამებთ?
მერე რომ წავალთ თუ
გაგვიხსენებთ?

სიბნელის მიღმა

სიბნელის მიღმა თვალი
მიცქერის,
თვალი ვერაგი,
რა მოხდა ნეტავ?!...
სისხლიანი რომ აქვს პერანგი.
ვის გაურბოდა,
ანდა ვისი ნახვა სწადია?!...
ღამის ჩრდილები
ამ ქუჩაში ხშირად დადიან.

მე დამესიზმრა

წუხელი ღამით მე
დამესიზმრა
თითქოს დავკარგე
ცხოვრების ნირი,
თითქოს არ იყო ჩემთან
არავინ,
დარღვეულიყო მშვიდობის
ძილი,
თითქო იფეთქა გულმა
მდუმარემ,
თითქოს დამთავრდა
ცხოვრება მშვიდი,
დაიწვა თითქოს მიდამო
სიზმრის,
სადაც მე ახლა ჩემს
ფრთებსა ვშლიდი.
თითქოს ვერ ვხედავ
სატრფოს მომღიმარს,
აღარ მეძახის — შენთან
მოვდივარ...
დამეკარგება მე ეს
წარსული,
თითქოს არ არის მეფის
ასული.
დამეკარგება სამშობლო
დიდი,
არა მაქვს თითქოს არავის
რიდი,
თითქოს ომია სასტიკი
ბრძოლით,
გზაზე მოვდივარ მე ხელში
დროშით
თქვენც ჩამივლით და
არაფერს მეტყვით,
აღარ მახსოვდა იმ წამში
ღმერთიც,
და დავდიოდი მე მარტო
სევდით,
არავინ მყავდა, მღუპავდა
ბედი.
და არსად იყო სიცოცხლის
გედი,
რომ მოსულიყო ჩემთან ის
ერთი.

ოდოუსერი

შენ ჯერ არ იცი

შენ იყავ მაშინ
ღვთისმშობელივით წმიდათა
წმიდა,
შენი შეხედვა ათასი ვარდის
კოკორად ღირდა,
შენ არ იცოდი, სიყვარული
რა ფასად ღირდა,
შენ იღიმები, მაგრამ არ
იცი, რა უფრო გინდა.
ერთი შეხედვით მე დავინახე
ცისფერ თვალებში
მზე მოკამკამე, ულევი
სითბო და ის ალერსი.
წუთი წუთს ველი, რომ
კვლავ გნახო მზესავით
წმინდა,
შენ ჯერ არ იცი, ეს
შეხვედრა მე როგორ მინდა.

ჩაკეტილი გული

ჩაკეტილი მაქვს ყველასთვის
გული,
და დამეკარგა ძველი
წარსული...
და ვინ მომირჩენს ამ
ნაიარევს,
სიბნელის შუა მკრთალად
ინათებს...
ო, არა მგონი, დავრჩე მე
მარტო,
ისე ნუ წახვალთ, რომ
ვეღარ გნახოთ...
რა ლამაზი ხარ, სამოთხის
ბაღო,
არ დამეკარგო, არ
დამეკარგო.

დი სნაიდერი

დადგა დრო
თავი დაიცვა.
ისე უნდა მოიქცე,
როგორც საჭიროდ მიგაჩნია.
დაივიწყე მოდა,
დაივიწყე "ფირმა",
იმიტომ, რომ თითოეულს
თავისი გზა აქვს.
მნიშვნელობა არა აქვს, რას
ფიქრობენ სხვები,
მნიშვნელობა აქვს იმას,
თუ შენ რას ფიქრობ შენს თავზე.
მაგრამ შენ არასდროს
ჩაიძირები ფსკერზე.
უბრალოდ აკეთე ის,
რისი გაკეთებაც გინდა.

ჯგუფი "თვისთედ სისთერის"
სიმღერა "როგორ გავხდეთ №1"

ახალგაზრდობა მარადიული არ არის

ვინ იცის, რამდენჯერ გაგიგონია მშობლებისაგან ეს ხომ შენი სიცოცხლის საუკეთესო წლებიაო! ცხვირწინ თითის ქნევით თქმული ეს სიტყვები განსაკუთრებით ხშირად მაშინ გსმენია, როცა დეპრესიაში იყავი. "ეს არის საუკეთესო წლები? — გიფიქრია ასეთდროს, — მაშ ძოძავალში უარესი მელის?"

ერთი ასეთი ძველი სიბრძნე თუ იცი: "ახალგაზრდობა მარადიული არ არის!" რომ იცოდე, რა ზუსტი და მართებული სიტყვებია. განა საოცარი არ არის ის, რომ ვიდრე მოზარდებს ერთი სული აქვთ, როდის გავიზრდებითო, უფროსები სკოლის ზარის ხმაზე ილიმებიან და ოდნავი შურით იხსენებენ საკუთარი სიყმაწვილის უზრუნველ წლებს. და რაც უფრო ემატებათ ასაკი, მით უფრო ბედნიერი ხდება მათი მოგონებები: რა უდარდელი იყო ის დრო მათი "დიდობის დროინდელ", "ნამდვილ" პრობლემებთან შედარებით. "ეჰპ! — ამოიოხრებენ ისინი და დასძენენ, — რა კარგი დრო იყო!"

ჰმ, კარგი დრო! ოღონდ არა ჩემთვის. რაც უფრო მემატებოდა წლები, ჩემი ცხოვრება უფრო და უფრო უკეთესი ხდებოდა, და თუ

პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის

ანუ როგორ ეოვეეგნოთ სკუთარი ადგილი ცხოვრეგაეი

მაინც ვიყურები ხოლმე უკან, მხოლოდ იმისთვის, რომ წარსულიდან ჭკუის სასწავლებელი გაკეთილები გამოვიტანო: წარსულისკენ მიპყრობილი მეტისმეტად დაჟინებული მზერა ხელს უშლის წინსვლას. მე ნიუ-ორკიდან ნახევარი საათის სავალზე ბოლდუინის მიკრორაიონში, ლონგ-აილენდზე გავიზარდე. მაშინ დი კი არ ვიყავი, არამედ დენიელ სნაიდერი, აწოწილი, მეტისმეტად მგრძნობიარე ბიჭი, რომელიც ხშირად ღვრიდა ცრემლებს, ცრემლების საბაბი კი, და თანაც სავსებით სერიოზული, საკ[illegible]ზე მეტი იყო. შინ მშობლებს ვეკ[illegible]ყობოდი (თვითონ მშობლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ). სკოლაშიც გარიყული ვიყავი. არც საკუთარი გარეგნობა მომწონდა, და



არც საქციელი. დროდადრო მარტოობა მეძალებოდა. იცით, რა მასულდგმულებდა? პოპულარული სატელევიზიო სერიალი "ვარსკვლავური მარშრუტის" მორიგი სერია, რომელიც პარასკეობით გადიოდა. დიახ, ჩემი მაშინდელი ცხოვრების მწვერვალი ყოველკვირეული ერთსაათიანი ტელეშოუ იყო. მეგობარი ცოტა მყავდა, გოგოები საერთოდ არ მყოლია, ისე რომ შაბათ-კვირას სახლში დავბორიალებდი, ორშაბათიან კი ვიწყებდი თვლას, რამდენი დრე დარჩა "ვარცკვლავურ მარშრუტამდე" — მეთქი. საზიზღრობაა არა? მაგრამ მერე უფრო უარესი დრო დამიდგა: ტელესტუდიამ შეწყვიტა შოუ.

დიახ, უმთავრესად ასეთი მოგონებები მაქვს — ნაღვლიანი, და როგორი ბანალურიც უნდა იყოს ის ამბები, მეხსიერებაში მაინც ჩამრჩა და ასე მგონია, რომ ეს გუშინ ხდებოდა: მახსოვს ყოველი წუთი, ყოველი უმცირესი დეტალი.

ალბათ, საქმე ის არის, რომ, ის რაც მოზარდობაში გადაგხდა თავს, მთელს შენს შემდეგ ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას. სწორედ მაშინ გიყალიბდება შეხედულებები, მისწრაფებები და ფასეულობები.

ერთი ამბავი კი ყველაზე უკეთესად მახსოვს. სურნელით გაჟღენთილი დღეა, ფიზკულტურის გაკვეთილი გვაქვს და მოედანზე სოფტბოლს ვთამაშობთ (ბეისბოლის ვარიანტი). ბუნებრივია,როცა ტაფელი მოვიქნიე, წინა და უკანა ხაზის მოთამაშეები თავ-თავიანთი ადგილებისაკენ გავარდნენ, გაისმა შეძახილები: "მიდი, მიდი, პიტჩერ (ბურთის ჩამომწვდელი), დაიჭი ეგ ბოთე!" სხვათა შორის რეპუტაციის მიუხედავად, საკმაოდ კარგად ვთამაშობდი, და ტაფელი რომ მოვიქნიე, პირდაპირ გარეთა მოედანს მივაჭედე ბურთი. ნაღდად კარგი დარტყმა იყო! წინ გავვარდი,

მივერივარ, გამალებით ვამუშავებ ხელ-
ფეხს და ამ დროს იმ ნაძირალამ
ფრედმა ფეხი არ დამიდო! რაღას არ
აკეთებდა ის ოხერი, ოღონდ კი ჩემთვის
სიცოცხლე მოეწამლა და აი ახლაც...
როგორ მივფრინავდი! და როგორ
დავეშვი!

როგორც ლაინერი საავარიო
დაფრენისას. რა თქმა უნდა ყველანი
გადარეულებივით აჭიხვინდნენ.

განადგურებული ვიყავი. წამოვდექი,
კიბორჩხალასავით წითელი ვიყავი და
დავიფიცე, რომ ამიერიდან აღარავის
მივცემდი უფლებას ჩემთვის დაეცინათ.
ერავალი წლის შემდეგ, როცა უკვე
„თვისთვე სისთერში" ვმღეროდი, თუ
ბარბაზში ვინმე ჭიხვინს იწყებდა ან
შეურაცხმყოფელ სიტყვებს ისროდა,
კონცერტს ვწყვეტდი და ასეთ ტიპს
სცენაზე ვუზმობდი "ვის დასცინი,
რეგვენო? იქნებ გგონია, რომ ჯკეთესად
ამღერებ? ამოდი სცენაზე სცადე".
ზოგჯერ დარბაზშიც კი ჩავმხტარვარ
ასეთი ტიპის მოსაძებნად. ახლა კი
ვხვდები, რომ პატივისცემის
დამსახურების ეს დაუოკებელი
სურვილი სპორტმოედანზე მომხდარი
ამ შემთხვევიდან აღმოცენდა.

ათ წელზე მეტი დამჭირდა
ამისათვის, რათა ეს ამბავი სასაცილო
გამხდარიყო ჩემთვის, მაგრამ ის მაინც
ვახდა სასაცილო. რამდენიმე წლის
შინ, როცა "თვისთვე სისთერმა"
საერთაშორისო აღიარება მოიპოვა,
დგილობრივმა გაზეთმა, რომელსაც
ატარა ბიჭობაში გასაყიდად დავა-
ტარებდი, კვირის დამატებით გარეკანზე
ემი პორტრეტი მოათავსა: ჩვეუ-
ლებრივი, "ჩვენი სახელოვანი თა-
ამემამული" მსგავსი სისულელე იყო.
რეპორტიორს ფრედის ეზა-კეკლისათვის
ითენო და ამ შემ-თხვევის შესახებ
კითხავს, რომლის გახსენებაზე თმები
ხლაც კი ყალყზე მიდგება. (ეჭვი არ
ეპარება, რომ ფრედმა სრულყო თავისი
ოჭი და ახლა პატარა ბებრუხანებს
ახლისაკენ აგდებს მატარებლის
ვეშ)

საოცარია, მაგრამ ფრედს არაფერი
ხსოვდა. ვფიქრობ, მისთვის ეს
უნებრივი კუნთური რეაქცია იყო:
ოგორც კი ვინმე მესამე ბაზიკენ
აიქცევდა, ფრედის ფეხი ავტოატურად
ამოხტებოდა ხოლმე წინ. რა თქმა
ნდა, მას არ ახსოვდა, რომ ფეხი
ამიდო - ის ხომ მთელი სკოლის
ედებდა ფეხს.

მე დამცინოდა ყველა, ვისაც კი
არ ეზარებოდა და დამცინოდა მანამ,
სანამ არ გადავწყვიტე, რომ აღარავის
მივცემდი ამის უფლებას; პასიური
გაუცხოება მებრძოლ გაუცხოებად
გადაიქცა. არც ამაში იყო არაფერი
კარგი, იმიტომ რომ ძალიან სასტიკი
და ცივი გავხდი, სულ ჩხუბის საბაბს
ვეძებდი, უმიზეზო ჩხუბისთავი ვიყავი.
ირონიული ღიმილისაგან გამუდმებით
მოქცეული სიფათი, სუსხიანი მზერა.
გარეშე თვალისთვის ეს დიდებულად
გამოიყურებოდა, სინამდვილეში კი
თავს დიდებულად სულაც არ
ვგრძნობდი. ნაღდი ფსიქი გავხდი: სულ
მეჩვენებოდა, რომ ქუჩაში ყველა მე
მომჩერებოდა და ვიღაცა მითვალ-
თვალებდა. ნერვები დაწყვეტაზე მქონდა,

გოგრაში წარმოუდგენელი სცენები
მიტრიალებდა. მოზვერივით ვიყავი და
სულ ვბღაოდი (ჩემთვის, ჩუმად): ნეტა
რას მომჩერებია-მეთქი, მერე
განრისხებული ვეცემოდი ხოლმე
წარმოსახვით მოწინააღმდეგეს (მაგრამ
კვლავ ჩემთვის, ჩუმად): რა თვალები
გადმოგიკარკლავს?-მეთქი. ისე ვიყავი
ხოლმე ატეხილი, რომ ერთ კვარტალს
რომ გავიკლიდი, იძულებული
ვხდებოდი, შინ დავბრუნებულიყავი
სულის მოსათქმელად - ისე ვიღ-
ლებოდი.

მაგრამ ამ ჩემმა სწრაფვამ თავი
არავისთვის დამეჩაგვრინებინა, ჭკუა
მასწავლა: საკმაოდ დიდხანს სრუ-
ლიად უსუსური ვიყავი, მერე კი ნელ-
ნელა მივხვდი, რომ საიმისო ძალები
გამაჩნდა, რათა სიტუაცია შეეცვალა
და ეს ძალები თითოეულ ადამიანში
არსებობს.

სიტუაციის შეცვლის ძალა ყველა
ადამიანში არსებობს.

თავს ეულად გრძნობ? მარტო შენ არა ხარ ასეთი

საშინელება ის იყო, რომ თავს ეულად
ვგრძნობდი, სულ მარტო
ვიყავი.გავიქცეოდი ჩემს ოთახში,
ფრესკრავზე "ლედ ზეპელინის", "ბლექ
სებეტის" და "დიპ ფერფლის"
ფირფიტებს დავდებდი და დიდი ჩემი
სიმაღლის სარკეში ვიმანჭებოდი: ვითომ
გიტარაზე, დასარტყმელ, კლავიშიან
საკრავებზე ვუკრავდი, მიკროფონში
ვმეღეროდი. ეს საკმაოდ უცნაური რამეა,
როცა ვითომ გიტარაზე უკრავ და
თამაშობ, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე
მეგონა. დარწმუნებული ვიყავი, რომ
დედამიწის ზურგზე ამას სხვა არავინ
აკეთებდა, ხოლო იმათ, ვინც აკეთებდა,
ყველაზე მკაცრ საგიჟეთში უკრავდნენ
თავს.

მაგრამ მოგვიანებით ბიჭებისაგან
გავიგე, რომ ის ბიჭიც "უკრავდა
გიტარაზე", რომელიც ჩემ მეზობლად
ცხოვრობდა, იმისი მეზობელიც,
მეზობლის მეზობელიც.

თითქმის ყველა მოზარდი გადის
საშინელი მარტოობის, თავი თავში
დაურწმუნებლობის, უმწეობის პერი-
ოდებს. ამას იმის შიშიც ამძაფრებს, რომ
შენ მარტო ხარ მთელ კლასში, არა
მთელ კლასში, არა, დედამიწის ზურგზე...
გეჩვენება, რომ დანარჩენებისაგან უხილავი
კედელი გყოფს, რომ ირგვლივშეუვალი
ღრუბლები გაკრავს (იქნებ ეს მხოლოდ
და მხოლოდ შენი დეზოდორანციაა?).
დაარავის არ ესმის შენი. გშურს იმ
პოპულარული გოგოსი, სიმპათიური
ღიმილი რომ დასთამაშებს სახეზე, და
გინდა მისთვის იყო - უპრობლემო და
უზრუნველი.

მაგრამ ყველაზე პოპულარულ
მოზარდებსაც კი ეპარებათ ეჭვი საკუთარ
თავში. იქნებ იმ გოგონას იმის შიში
აქვს, რომ ხალხს ის კი არ უყვარს,
არამედ მარტო მისი ლამაზი სახე. და
თავისი ხარისხების ტაბელი იმათშორისაც
არის, ვინც "პოპულარობის ჯგუფს"
შეადგენენ: ვიღაც პოპულარულებს ყველა
პოპულარულია, ვიღაც კი მათ შორის
ბოლო ადგილზეა და უნდა შეურიგდეს
ამას.

სინამდვილეშიკი შენ ერთადერთი არა
ხარ, ვისაც პრობლემები აქვს და თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარისკავ და ანის შესახებ მეგობრებს დაელაპარაკები, გაოცდები, რა კარგად გაგიგებენ ისინი და როგორი შვება იქნება მათვის ის, რომ საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკის შესაძლებლობა მიეცემათ. მეორეს მხრივ მათ შეუძლიათ "დარაბები დახურონ". მოზარდები ისე მოწადინებულები არიან თავის "სისტემას" შეესაბამებოდნენ, რომ ეშინიათ, ვაითუ ვინმემ უჩვეულოდ მიიჩნიოს მათი შეხედულებები ან გრძნობები.

დარწმუნებულები იმაში, რომ ვერავინ გაუგებთ, ყველაზე ღრმა განცდებს, მოზარდები საიდუმლოდ ინახავენ.

ჩემს საწუხარზე არავის ვუყვებოდი, იმიტომ რომ დაცინვისა მეშინოდა და სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ჩემს თავთან განმარტოვებულმა გავატარე იმაზე ფიქრით, თუ როგორ მოვქცეულიყავი რათა მივეღე, ვეღიარებინე. ერთი ასეთი საშუალება როკ-ჯგუფში იყო. მაგრამ კარგა ხანს ერთადერთი რამ მინდოდა: "სისტემაში" ყოფილიყავი და სხვებისგან არ გამოვრჩეულიყავი. ამბობენ ახალგაზრდობა უდიდესი თავისუფლების ხანაო, და ასეც არის - ეს არის დიდებისთვის აუცილებელი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლების ხანა. მაგრამ მოზარდები ძალზე სასტიკები არიან იმათ მიმართ, ვინც გამოირჩევა მათი წრიდან. მათ ჯერ არ იციან, ვინ არიან სინამდვილეში და სფრთხეს გრძნობენ იმათ მხრიდან ვისაც შეგუება არ უნდა. ხოლო ვინაიდან მათ ჯერ არ შეუძენიათ ის დაჯერებულობა, რაც საკუთარი "შს" გაცნობიერებას მოაქვს, ისინი ცდილობენ ჯოგად შეიკვეთნენ.

ცხოვრება რთული ხდება, როცა ჩვენ ვხედავთ ვიღაცას, ვინც დანარჩენებისგან გამოირჩევა, იმიტომ რომ მაშინ ჩვენ იძულებული ვართ დამოუკიდებლად ვიფიქროთ. ბევრი ჩვენგანისთვის კი ეს შიშის მომგვრელი პერსპექტივაა.

ნონკომფორისტ მოზარდს, (ვისაც არ სურს საზოგადოებაში მიღებულ მორალის და ქცევის ნორმებს დაემორჩილოს) შეუძლიათ არაკეთილმოსურნეობასთან შერეული პატივისცემა დაიმსახურონ, მაგრამ ისინიც ხდებიან დაცინვის სამიზნე.

მაგალითად, იმისათვის, რომ რაღაცით მაინც ვყოფილიყავი გამორჩეული, "ესპანური" წვერი მოკუშეი - ნიკაზე რამდენიმე მეჩხერი ღერი. მიმაჩნდა, ეს რაღაც იყო, სინამდვილეში კი ეს საშინელება იყო. ბუნებრივია, სკოლის ბოროტმა ენებმა ხელიდან არ გაუშვეს ასეთი შემთხვევა და თხა შემარქვეს. საკმაოდ დიდხანს დამცინოდნენ, სანამ თვითონაც არ მოუშვეს ასეთივე წვერი. და მაშინ მე დაუყოვნებლივ გავიპარეს: საშინლად შემაშინა იმ აზრმა, რომ ის, რაც მე საკუთარი ინდივიდუალობის ნაზგასასმელად გავაკეთე, სხვებისთვის "სისტემა" გახდა. დამიჯერეთ რა: უჭირს მოზარდს, ძალიან უჭირს - თან უნდა, რომ ისეთივე იყოს, "როგორიც ყველაა", თან ისწრაფის ის იყოს, რაც სინამდვილეშია, ეს კი ხშირად იმას ნიშნავს, რომ შენ დანარჩენებისგან განსხვავდები.

შენ ბედნიერი კაცი ხარ, მე მგონია, რომ დღეს გაცილებით მეტ შემწყნარებლობას იჩენენ იმის მიმართ, რა გინდა რომ იყო და როგორ გინდა ჩაიცვა და დაიხურო.

დაწყებით სკოლაში რომ ვსწავლობდი - ეს 60-იან წლებში იყო - ყველა ერთი და იგივე მუსიკას უსმენდა და ერთნაირად იცვამდა. არჩევანიც შეზღუდული იყო. მახსოვს მაშინ ყველაზე დიდი "შიკი" ფზქ - "ფლოტის ზემდეგის ქურთუკი" იყო: ეს ქურთუკი პერანგს ჰგავს, ოღონდ უკან ჩაჭრილია და აუცილებლად ლურჯი ან მუქი ბორდოსფერია. ყველას ჰქონდა ასეთი ქურთუკი, ჩემს გარდა.

ოცნებად მქონდა ასეთი ქურთუკი, იმიტომ რომ უმისოდ როგორ უნდა "ჩავწერილიყავი"? მთელი წელი გარს ვუვლიდი მშობლებს, ხან ისე ვეუბნებოდი, ხან ასე, და აი შობას მოუთმენლად ვეცი საჩუქრის ყუთს, გავგლიჯე, მაგრამ შიგ ისეთი ქურთუკი არ აღმოჩნდა. "მაპატიე, მაგრამ რამდენიმე მაღაზია დავიარე, ყველა ისეთი ქურთუკი გაყიდული აღმოჩნდა," - ნახევრად მობოდიშებით ამიხსნა დედამ. ბუნებრივია, გაიყიდებოდა, ათასობით ბიჭს ხომ სწორედ ასეთი ქურთუკი უნდა დახმარებოდა თვით დამკვიდრებაში. ისე მეწყინა რომ ავდრიალდი - ახლა კი შესმის, რომ ძალიან ეგოისტურად გავიქეცი, იმიტომ რომ დედამ მართლა ყველა მაღაზია დაიარა იმ სქელი ქურთუკის ძებნაში. მაგრამ მაშინ მე მარტო ჩემი თავი მეცოდებოდა, ძალიან მეცოდებოდა - აბა რა იქნებოდა, გავწბილდი. მაგრამ დედამ რაღაცნაირად დამიყოლია, საჩუქარი ჩამაცვა და სარკესთან მიმათრია: "ნახე, რა მშვენიერი ქურთუკია!" მართლაც და აღრე არასდროს მენახა ასეთი. დაახლოებით ისეთი ქურთუკი იყო, სამხრეთულთა არმიის ჯარისკაცებს რომ ეცვათ სამოქალაქო ომის დროს - ოქროს ღილებით, მაღალი საყელოთი და ფერადი დანაკერებით. "მაგარი" რამე იყო. ღრიალი შევწყვიტე.

მეორე დღეს ქურთუკი სკოლაში ჩავიცვი და ხალხმა პირველად მიწოდა "შნოიანი". ყველას უნდოდა გაეგო, სად ვიშოვე ასეთი "მაგარი" რამე. ამრიგად მე საკუთარი იმიჯი შევიქმენი და გულრწფელად გეტყვით, ის ქურთუკი მანამდე მეცვა, სანამ ზედ არ შემოძძა.

მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი გაკვეთილი მივიღე, თუ რას ნიშნავს ინდივიდუალისტობა. და იმ მომენტიდან სურვილი გამიჩნდა სხვებისგან განსხვავებული ვყოფილვარ.

მსოფლიო კიდით კიდემდე

ავსტრია

რამდენს უნდა იწონიდეს სკოლის ჩანთა?

ავსტრიელი ექიმების დასკვნით, ბავშვის სასკოლო ჩანთა არ უნდა აღემატებოდეს ბავშვის წონის 10 პროცენტს. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეებში ისინი განსაკუთრებული დაკვირვებით ურჩევდნენ მშობლებს გულმოდგინედ შეემოწმებინათ, რა ეწყოთ შვილებს პორტფელებში და არ გადაეტვირთათ ისინი. მედიკოსთა აზრით, ზსენებული პროპორციის გადამეტება იწვევს ხერხემლის გამრუდებას, ტანადობის დარღვევას, წელის ქრონიკულ ტკივილებს, მოძრაობის აპარატის მოქმედების გაუარესებას. გამოანგარიშებულია, რომ ავსტრიელი მოსწავლის პორტფელი საშუალოდ 10 კილოგრამს იწონის.

აშშ

მიკო ჰიუზი

პატარა მსახიობს მიკო ჰიუზს, რომელმაც სათავგადასვლო ბოევიკში "მერკური" თავად ბრიუს უილისიც დაჩრდილა, ძალზე რთული ახალი როლი შესთავაზეს. სიუჟეტის მიხედვით, მიკომ აუტიზმით დაავადებული ვუნდერკინდი უნდა განასახიეროს, ამიტომაც ასეთი ავადმყოფების ქცევების გასაცნობად იგი ბევრს ესაუბრა ფსიქიატრს. გარდა ამისა, ბიჭუნამ კარგა ხანი დაჰყო აუტიზმით დაავადებული ბავშვების სპეციალურ სკოლაში, აკვირდებოდა მათ, იმახსოვრებდა მათ მოძრაობებს, ინტონაციებს, ისე რომ იგი საკმაოდ მომზადებული შეუდგა ახალ როლზე მუშაობას.

პირველად მიკო ჰიუზი ორი წლისა გადაიღეს ფილმში "შინაური ცხოველების სასაფლაო", მას მერე მან კიდევ ათ ფილმში შეასრულა სხვადასხვა ხასიათის როლები. საინტერესოა, რომ მიკო ჰიუზი ინდიელთა ტომის ჩიკასოს შთამომავალია და მისი სახელი ითარგმნება როგორც "ბელადი". თავისუფალ დროს პატარა მსახიობი ფუტკრების მოვლა-მოშენებას ანდომებს. მის სკებში 30 ათასამდე ფუტკარია.

კანადა

ყველა საკლასო ოთახი ინტერნეტში ჩაირთვება

კანადა გახდა მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც ყველა სახელმწიფო სკოლა და ბიბლიოთეკა ინტერნეტის სისტემაში ჩაერთო. ამით დასრულდა 1993 წელს დამუშავებული იმ პროგრამის პირველი ეტაპი, რომლის განხორციელება შესაძლებელი გახდა მთავრობის, პროვინციათა ხელისუფლების, რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ელექტრონულ კომუნიკაციათა სფეროს კერძო კომპანიების ძალისხმევის წყალობით. 2001 წლის 31 მარტისთვის, როცა დაიწყება პროგრამის მეორე ეტაპი, კომპიუტერული კავშირის სისტემაში ჩართული იქნება არა მარტო ყველა სკოლა, არამედ თითოეული სკოლასო ოთახი. ამასობაში მასწავლებლები გაივლიან სპეციალურ მომზადებას, კურსებსაც იქნება შეტანილი სკოლების სასწავლო პროგრამებში.

იტალია

ყველაზე მოუსვენარი დედები

ევროპელ დედებს შორის ყველაზე მოუსვენარი იტალიელი დედა ყოფილა. "მამა იტალიანა" იმაზეც ზრუნავს, რომ შვილმა დროულად ისადილოს მაკარონის კერძით, იმაზეც, რომ დაუუთოებელი ტანსაცმელით არ გავიდეს შინიდან, იგი მზად არის გაკვეთილებიც კი მოამზადოს ხოლმე შვილის მაგივრად.

რომაელი ფსიქოლოგების მიერ ევროპის 10 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, იტალიელი დედა შემთხვევათა 75 პროცენტში თვითონ წყვეტს, როგორ მოიქცეს მისი შვილი თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში. შედარებით დემოკრატიულები აღმოჩნდნენ ესპანელი "მადრიები"- ისინი მხოლოდ შემთხვევათა 70 პროცენტში იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ უნდა მოიქცნენ მათი შვილები. ესპანელ დედებს მოსდევენ ავსტრიელი (62 პროცენტი), ფრანგი (59 პროცენტი) და ინგლისელი (56 პროცენტი) დედები.

ყველაზე ნაკლებად შვილებს საკუთარ ნება-სურვილს შვედი დედები ანებებენ, რომლებიც შემთხვევათა 60 პროცენტში შვილს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლებას აძლევენ. იდილია სუფევს შვეიცარიაში, სადაც ოჯახში "წინაპრებსა" და მათ შვილებს გადაწყვეტილების მიღების აბსოლუტურად თანაბარი უფლებები აქვთ.

შვედეთი

"კარლსონის" ავტორი - ათასწლეულის ადამიანი

ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის ("ჰეტებორგს პოსტენ") კეთხველებმა მიმავალი ათასწლეულის ადამიანად სახელგანთქმული საბავშვო მწერალი ასტრიდ ლინდგრენი დასახელეს. ყოველმა მეოთხე გამოკითხულმა უმაღლეს საფეხურზე სწორედ კარლსონზე, პეპიზე, ემილზე, რონიზე დაწერილი წიგნების ავტორი დასახელა. არჩევანი კი მათ ასე დასაბუთეს - "ასტრიდ ლინდგრენის გარეშე შვედეთში კითხვასთან დაკავშირებული სიძნელეები გვექნებოდა", "მან მთელი მსოფლიოს ბავშვებს აწყვა სიხარული და ფანტაზია, ჩაუნერგა მათ საკუთარი თავის რწმენა"

ამეტყველებული პლასტილინი

თავიდან ეს არავის აკვირვებდა. ისევე როგორც ყველა ბავშვი, ავთოც მულტფილმებისა და ზღაპრების გმირებს ხატავდა და სხვებივით "აჯღა-ბუჯღა" გამოსდიოდა, პლასტილინისგანაც ისეთივე პრიმიტიულ კაცუნებს თუ ცხოველებს ძერწავდა, როგორსაც სხვა მისი თანატოლები. მერე კი, როცა ექვსიოდე წლის ბიჭმა წინა დღეს ტელევიზორში ნანახი "300 სპარტანელის" შთაბეჭდილებით, რვა სპარტანელი და მათი წინამძღოლის დალუპვის სცენა გაცოცხლა პლასტილინში, მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს — ეს ბავშვი მგონი, აღარ ხუმრობსო.

უფროსებმა პლასტილინის, სახატავი რვეულების, ფანქრების თუ ფლომასტერების ყიდვას მოუხშირეს და სულ მალე სპარტანელებს ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ გორგასლის, პრინცესას, ჯამბაზის, მეკობრის, ვეფხის და მოყმის, მუსიკოსის, ფადიშახის, იაპონელი ჭიდაობა

სუმას ოსტატის ციდა ფიგურებმა დაუშძვენეს მხარი. ეს ნამუშევრები კი არამც და არამც აღარ ჰგავდა ავთოს სხვა თანატოლების ნახელავს. მისი ხელით გამოძერწილ საოცრად მეტყველ და პლასტიკურ ფიგურებში შეუცდომლად იკითხება მათი ხასიათები, ინდივიდუალური თვისებები — ბრძენი და უშიშარია გორგასალი, მწყაზარი და კეთილია თამარი, გულუბრყვილო და უშუალოა პრინცესა, ოდნავ სევდიანია სხვების გამამხიარულებელი ჯამბაზი...

ავთო მინდიაშვილი 14 წლისაა და გორის მე-3 საშუალო სკოლის IX კლასში სწავლობს. საგნებიდან ისტორია, მათემატიკა და ქართული ლიტერატურა უყვარს გამორჩევით. სპორტის სახეობებიდან ფეხბურთი იტაცებს, მოსწონს სათავგადასავლო წიგნები და ფილმები, მუსიკასაც სიამოვნებით უსმენს, დაკრისა კი რა მოგახსენოთ — უფრო დედას ზათრით უკრავს ხოლმე. ყოველივე ამით ავთო ყოველ მეორე თანატოლს მაინც ჰგავს, მათგან კი ხატვის ნიჭი, ძერწვის სიყვარული, შემოქმედებითი ფანტაზია, დაკვირვებული თვალი გამოარჩევს. უცბად იგრძნობს მუზის ძახილს, თითების მოუსვენრობას, განმარტოვდება, სამუშაო მაგიდას მიუჯდება, პლასტილინს დასწვდება და სანამ ჩანაფიქრს სულს არ ჩაუდგამს, არ ადგება. ბევრჯერ ღამე წამომხტარა ლოგინიდან, ყველას ჩუმად მისჯდომია მაგიდას და დილისთვის ახალი ნამუშევრით გაუოცებია დიდ-პატარა.

ცალკეული ფიგურების გარდა, მის ნამუშევრებში სცენებს, კომპოზიციებსაც შეხვდებით. მაგალითად, ვეფხისა და მოყმის ბრძოლას, ანგელოზის დაცემისა და სატანად ქცევის სცენას. ავთო ფერად პლასტილინს ხმარობს, მას შემდეგ კი, რაც ნახელავს საბოლოო სახეს მისცემს, ჩვეულებრივი ფრჩხილების ლაქით ფარავს — ასე პლასტილინი უფრო დდხანს ძლებს. თიხა რატომღაც არ უყვარს, ერთხელ იხმარა და არ მოეწონა. მისი თითები

სიხარული მოუტანა მონაწილეობამ თემატურ რესპუბლიკურ კონკურსში "საქართველოს ბუნება", სადაც გორელი ბიჭუნას ნამუშევრებმა საყოველთაო მოწონება და პროფესიონალ მხატვართა ყურადღება დიმსახურა. ორი წლის წინ საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის რედაქციამ "მამული" სპეციალური გადაცემა მიუძღვნა მის შემოქმედებას, იმ წელსვე ავთომ თბილისში გამართულ მსოფლიო საყმაწვილო დელფიადაშიც მიიღო მონაწილეობა. ამას წინათ კი ავთოს ცნობილი მოქანდაკე ვ. მიზანდარი ეწვია, საგულდაგულოდ დაათვალიერა მისი კოლექცია, შეაქო, წაახალისა, რჩევებიც მისცა და გამომშვიდობებისას სრულიად სერიოზულად უთხრა, იცოდე, სამხატვრო აკადემიაში გელოდებითო.

ვალდორფის სკოლის საფეხურები



ვალდორფის სკოლის საფეხურებირატომ არის, რომ ცხოვრებასთან შეხვედრისას ფრიადოსანი მოსწავლეები მაჩანჩალები ხდებიან? რატომ არის, რომ ყველამ კარგად ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ და რა არ უნდა ვაკეთოთ, მაგრამ უფრო ხშირად ამ ცოდნას ვერ ვიყენებთ? რა არის მიზეზი? იქნებ, ფანტაზია ან გამბედაობა გვღალატობს? ან იქნებ სახელმძღვანელოები არ გვივარგოდა?

ახლა მასწავლებლის ფუჭი შრომა ავიღოთ. ის ხომ ისეთ სურათს გვიხატავს სკოლის წლებში, რომელიც სკოლის ზღურბლს მიღმა უმალ ცამტვერდება!

თითქოს რეფორმებმა რაღაც შეცვალეს, მაგრამ ღმერთო, კიდევ რამდენი ამ არის შესაცვლელი?! მაშ კიდევ რამდენი წელი უნდა გაგრძელდეს ეს რეფორმები? იქნებ, იქნებ, იქნებ...

ფილოსოფოსი რუდოლფ შტაინერი (1861-1925) აღიარებულია ანტროფოსოფიის, ანუ ადამიანის შესახებ ისეთი სწავლების ფუძემდებლად, რომელსაც იგი აღზრდის განსაკუთრებული სისტემის მეშვეობით ადამიანში ფარული სულიერი ძალების გახსნის გზად მოიაზრებდა. 1919 წელს ქ. შტუტგარტის თამბაქოს ფაბრიკა "ვალდორფ-ასტორის" დირექტორმა თხოვნით მიმართა რუდოლფ შტაინერს, შეერჩია პედაგოგები და შეედგინა სასწავლო პროგრამა სკოლისთვის, რომელიც ფაბრიკის მუშათა შვილებისთვის უნდა გახსნილიყო.

ფაბრიკა მალე გაკოტრდა და დაიხურა, სამაგიეროდ, დარჩა "ვალდორფის სკოლა", რომლის პრესტიჟი დღითი დღე იზრდებოდა. ახლა ამ სასწავლებელში მარტო მუშები როდიღა აგზავნიდნენ შვილებს. მოკლე ხანში ვალდორფის სკოლები მთელ გერმანიაში გავრცელდა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულმა ნაცისტებმა ანტროფოსოფია ცრუ მეცნიერებად გამოაცხადეს, ეს სკოლები კი დახურეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვალდორფის სკოლები მთელ გერმანიაში აღდგა, ის კი არა, ფაშიზმის წლებში იმიგრირებულმა მასწავ-ლებლებმა ვალდორფის პედაგოგიკა სხვა ქვეყნებშიც გაავრცელეს. დღეს მთელ მსოფლიოში ხუთასზე მეტი ამგვარი სკოლაა.

გავიცნოთ ერთ-ერთი მათგანი. ციცქნა შვედური ქალაქი სტოკჰოლმის სიახლოვეს. 1935 წელს აქ არსებული ავადმყოფ ბავშვთა ინტერნატის თანამშრომლებმა სამკურნალო ანტროფოს-ოფიური პედაგო-გიკის შესახებ გაიგეს და შვეი-ცარიის ანტრო-ფოსოფიური საზოგადოების წევრებს გუსტავ და შარლოტა რიტერებს მათთან ჩასვლა თხოვეს. სწორედ ამ პატარა შენობიდან, რომელშიც განთავსებული იყო სამკურნალო პედაგოგიკის განყოფილება, დაიწყო მიქაელ გადენი ("წმინდა მიხეილის ბაღი") — ამჟამად საუცხოო კულტურული ცენტრი, რომელიც სამ ვალდორფულ სკოლას, შვიდ სამკურნალო თავშესაფარს, პედაგოგიკის მუდმივ სემინარს და სოფლის მეურნეობის კურსებს ითვლის. აქვეა მუსიკალური საკრავებისა და ხის ნაკეთობათა სახელოსნოები... ერთ დილით ტყეში იამ ყვავილი გადახსნა და ხის კენწეროების თავზე ლურჯი ცა დაინახა. "რა დიდი ია გაშლილა ჩემს თავზე, — გაიკვირვა მან და იქვე ძაღლს ჰკითხა: "ეს ია ბოროტია თუ კეთილი?" "ბოროტია, — უპასუხა ძაღლმა, — ეგ ია გიკბენს". იას შეეშინდა და მეორე დღესღა გაბედა ეკითხა ცხვრისთვის, იქვე ბალახს რომ ძოვდა. "ეს დიდი ია, — უპასუხა ცხვარმა, — შენზე იმდენადვე კეთილია, რამდენადაც დიდი. მას ისე უსაზღვროდ უყვარხარ"...ეს გახლავთ გაკვეთილი ვალდორფული სკოლის პირველ კლასში. ეს არც ბოტანიკაა და არც ლიტერატურა — ბავშვები სწავლობენ საგნებისა და ადამიანების ურთიერთობის შეცნობას. მოგვინებით მაგალითს უმატებენ სუნთქვით ვარჯიშებს — როცა ჩავისუნთქავთ, ჩვენ პატარები და მარტოხელები გავხდებით, ხოლო ამო-სუნთქვისას

მთელ მსოფლიოსთან ვერთიანდებიან. სკოლამდელი ბავშვის განვითარების ეტაპები მის ნახატებშია. თავიდან ამ ნახატებში გენიალური ქაოსია – არც ცა, არც მიწა, ერთადერთი კატეგორია სივრცეა. მოგვიანებით ცა და მიწა თავთავის ადგილს იკავებენ. ჩნდება სახლი, ღობე, ფანჯარა, სახე ფანჯარაში... პატარა მხატვარი ნახატში თავისი ანარეკლის დანახვას იწყებს. ახლოვდება დრო, როცა შეიძლება მასთან სკოლაში მუშაობა.

სარძეგე კბილების მოცვლა ის ზღურბლია, რომლის იქითაც სიცოცხლისეული ძალების გამოთავისუფლებაა. შემდეგ მოდის ცხრა, თორმეტი და თოთხმეტი წლის მიჯნები, როცა იზრდება გაუცხოება, იმ გარე სამყაროსგან გამიჯვნა, რომელშიც ბავშვი იყო გათქვეფილი. დგება ზუსტ მეცნიერებათა დრო.

ქიმიის პირველი გაკვეთილი მეშვიდე კლასში. მასწავლებლის მაგიდაზე ან სკოლის ეზოში პატარა კოცონს ანთებენ. პირველ გაკვეთილზე ცეცხლს მხოლოდ აკვირდებიან და ჩვენს ცხოვრებაში სითბოს როლზე ბჭობენ. ეანგვის თეორია მოგვიანებით იქნება, როცა იმის გაცნობიერება მოვა, რომ სიცოცხლე წვაა.

შტაინერისეული პედაგოგიკის ზეამოცანაც ზუსტად იმაში მდგომარეობს: აღვზარდოთ ადამიანი, თავისუფალი იმის წყალობით, რომ გაცნობიერება, ერთის მხრივ ნათელ წარმოდგენას აძლევს მის სამყაროს არატრივიალურობის შესახებ, მეორეს მხრივ – არწმუნებს, რომ შეიძლება ამ სამყაროს შეცნობა და მასში საკუთარი ადგილის მოძებნა.

თორმეტწლიანი სწავლების ბოლოს ვალდორფული სკოლის კურსდამთავრებული გიმნაზიის პროგრამის მოცულობის ცოდნას იძენს. ამას კი სახელმწიფო საგამოცდო კომისია ადასტურებს.

არც ერთი ქვეყნის განათლების სამინისტროს არ უყვარს კონკურენცია. სამაგიეროდ, დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას ვალდორფის სკოლის ატესტატის ნიშნებს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე

სახელმწიფო სკოლადამთავრებულ აბიტურიენტთა ნიშნებს.

ვალდორფის სკოლაში მუშაობა უფრო ძნელია, ვიდრე სახელმწიფო სკოლაში. აქაურ მასწავლებლებს ხელფასიც ნაკლები აქვთ. აქ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები არა აქვთ, არც კლასში მეორედ დარჩენის ეშინიათ, მათ არც ყოფაქცევაში, ზეპირ პასუხებსა, კარნახებსა და საკონტროლოებში უწერენ ნიშანს. ვალდორფის სკოლას არ ჰყავს დირექტორი, რომელიც მშობელს სკოლაში გამოიძახებდეს. მოსწავლის მშობლებს მხოლოდ წელიწადში ერთხელ უგზავნიან წერილს მათი შვილის წარმატების შესახებ. თანასწორუფლებიანი კოლეგა-მასწავლებლები ყოველკვირა იკრიბებიან შედეგების განსახილველად და მომავალი კვირის გეგმის დასასახად. კლასის ხელმძღვანელები საუბრობენ მათი სამეურვეო მოსწავლეების ცხოვრების პირობებზე, მათ მშობლებზე. ერთი სიტყვით, ვალდორფელები მუშაობის არატრადიციულ ფორმებს იყენებენ.

ამბობენ, რომ შტაინერს შეეძლო მარტო იმის მიხედვით გამოეცნო ბავშვის ხასიათი, თუ რომელ მერხზე ერჩივნა მას ჯდომა. ბავშვის შინაგან სამყაროს კარს მისი ნახატები აღებს - "პედსაბჭოებზე" სწორედ ამ ნახატებს იხილავენ საკონტროლო ნამუშევრების ნაცვლად. მოსწავლემ არაფერი იცის ამ განხილვების შესახებ.

საშუალო და უფროს კლასებში თითოეულ შემეცნებით საგანს (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია...) 3-5 კვირა ეთმობა და ყოველდღე დილის 8 საათიდან 10-მდე კლასი სწორედ ამ საგანს სწავლობს. ათი საათის შემდეგ კი არის სპორტი, ხელოვნება და ასევე პერიოდულად, უცხო ენები.

ჟურნალიდან "ხიმია ი ჟიზნ"

კითხვა - თქვენი

ზუსტად თუ არის ცნობილი როდის, როგორ და სად გაჩნდა პირველად მუსიკა?

ლელა ორმოცაძე,
ლანჩხუთი

ლელა, ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, როდის, როგორ და რანაირად გაჩნდა პირველად მუსიკა, მაგრამ ჩვენ შევეცდებით სხვადასხვა ქვეყნებში დღემდე



შემონახული უძველესი დროის ნახატების საშუალებით იმაში მაინც დაგარწმუნოთ, რომ მუსიკის ფესვები კაცობრიობის ისტორიის უღრმეს წიაღშია საძიებელი.

მაგალითად, ჩინეთში, მოგაოს გამოქვაბულში მეცნიერებმა აღმოაჩინეს უჩვეულოდ ლამაზი და



ნატიფი კედლის მხატვრობა. ერთ-ერთ ნახატზე ორი მშვენიერი ასულია გამოსახული, მათგან ერთი ფლეიტის თუ სალამურის მსგავს საკრავზე უკრავს, მეორე კი - სიმებიან საკრავზე. ეს სცენა 1300 წლის წინათ არის დახატული.

კიდევ უფრო ძველი, 2400 წლისაა თიხის ლარნაკის მოწითალო ფონზე შავი შტრიხით დახატული ბერძენი ჭაბუკი,

რომელიც ორმაგ სალამურს არაკრაკებს. მეორე ასეთივე ლარნაკზე აშკარად მუსიკის გაკვეთილია ასახული.

ჩინეთიდან და ელადიდან ძველ სირიაში გადავინაცვლოთ. ასურბანიფალი დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვით 669-633 წლებში მეფობდა ასურეთში და აი მისი სასახლის ქვის კედლებზე ამოკვეთილ ერთ-ერთ სცენაში წარმოდგენილია მუსიკოსი, რომელიც მსხვერპლშეწირვის დროს უკრავს სიმებიან საკრავზე.

არფის დამკვრელის ეს გამოსახულება კი ლამის ოთხი ათასი წლის წინათ დაუხატავთ ერთ-ერთი ეგვიპტური ტაძრის კედელზე...

ამგვარი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ისინი მხოლოდ მუსიკის უძველეს წარმომავლობას ადასტურებენ, ისე რომ შენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა მომავალს უნდა მივანდოთ.

რატომ იკბინება ასე მწარედ ჭინჭარი, სხვა მცენარე რატომ არ გვსუსხავს?

ზიზი ზაალიშვილი,
კასპი

ჭინჭარს ფოთლებისა და ღეროების მთელ ზედაპირზე კანის ჩვეულებრივ უჯრედებს შორის გრძელი უჯრედებია, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით ბუსუსებს ჰგავს. თუ მიკროსკოპით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს უჯრედები ბოთლებს წააგავს, რომლებიც მსუსხავი შხამიანი წვენით არის სავსე. იმისთვის, რათა წვენი არ გადმოიღვაროს, ამ უჩვეულო ჭურჭლის ყელის თავი დახურულია. სწორედ ამ თავის ქვეშ არის ბოთლის კედლები ყველაზე თხელი, ისე რომ ოდნავი შეხებით თავი ირიბად ტყდება და მის ნაცვლად ბოთლს ახლა წვეტიანი ნესტარი უჩნდება, რომელიც მტერს ტანში ესობა და მსუსხავ წვენს უშხაპუნებს. ასე იცავს თავს ჭინჭარი.

პასუხი - ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დროს ბრაკონიერებმა გაცხოველებული ნადირობა გააჩაღეს სპილოებზე. ყველაზე უარესი ის არის, რომ ისინი აობლებდნენ და ბედის ანაბარად ტოვებდნენ პატარა სპილოებს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს შრი-ლანკაში შეექმნათ თავშესაფარი უდედმამოდ დარჩენილი სპილოებისათვის. ეს უჩვეულო დაწესებულება ქვეყნის დედაქალაქ კოლომბოს დასავლეთით მდებარეობს. აქ მზრუნველი დეიდები და ძიები ისე ევლებიან თავს პატარებს, როგორც საკუთარ შვილებს. ზოგი სპილო 2-3 თვის ასაკში ობლდება და იმდენად უმწეოა, რომ რძეს ბოთლით ასმევენ. ერთი ასეთი პატარა სადღაც შორიდან თითქმის მომაკვდავი მოიყვანეს თავშესაფარში. მისი გადარჩენის იმედი ყველაზე გამოცდილ ვეტერინარსაც კი გადაეწურა. ამ ობოლი სპილოს მოვლა თავშესაფრის ერთ-ერთი თანამშრომლის გოგონამ იდო თავს. მისმა სითბომ, თანაგრძნობამ, სიყვარულმა თავისი ქნა და სპილომ თვალდათვალ იწყო გამომჯობინება. ახლა იგი ნაბიჯითაც არ შორდება თავის გადამრჩენელს, ყველგან თან დასდევს გოგონას და საჭმელსაც მხოლოდ მისი ხელიდან ჭამს.



აქლემები
ლეგენდები და ფაქტები

ძნელი სათქმელია, როდის დაარქვეს აქლემს უდაბნოს ხომალდი.ყოველ შემთხვევაში ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ადამიანმა ხომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბევრად ადრე მოიშინაურა იგი. ათასობით წლის განმავლობაში აქლემი უდაბნოს მკვიდრთა ერთადერთი ტრანსპორტი იყო. მას სამგზავროდაც იყენებდნენ, ტვირთის გადასაზიდადაც და სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისთვისაც. ეს ცხოველი საკმაოდ ფეხმარდიც გახლავთ, დღეში იგი 80-90 კილომეტრს გადის.

აქლემი მშვენივრად არის აღჭურვილი უდაბნოსა და სტეპებში საცხოვრებლად. ხშირი და სქელი ბეწვი საიმედოდ იცავს მას ღამის სიცივისა და შუადღის პაპანაქებისაგან. იგი არც საკვების მიმართ არის მაინცდამაინც მომთხოვნი, ზოგჯერ უდაბნოში ეკლისა და ჩარანის გარდა სხვას ვერაფერს იპოვი და აქლემი ამითაც კმაყოფილდება. მას არც გავარვარებულ ქვიშაში უჭირს თუნდაც ტვირთაკიდებულს სიარული, იმიტომ რომ მისი ტერფის ქვედა ზედაპირი ელასტიურ კოჭრიან ბალიშს წარმოადგენს.

გარდა იმისა, რომ აქლემის ძვირფას ბეწვს ფართოდ იყენებენ ხელთათმანების, პლედების, სვიტერების, კაშნეების და სხვ. საქსოვად, მეაქლემეობის რეგიონებში მის რძესაც სიამოვნებით მიირთმევენ, მისგან დამზადებულ კარაქსაც, ჩვენებური მაწვნის მსგავს არაგანსაც, და რაც მთავარია, საუცხოო წყურვილის მომკვლელ სასმელს - ჩალს.

ამბობენ, აქლემს შეუძლია ყველაზე მცხუნვარე უდაბნოც კი ისე გადაკვეთოს, რომ უწყლოდაც იოლას გავიდეს, და უსაკვებოდაც. ბოლო დრომდე მეცნიერება უძლური იყო პასუხი გაეცა უმარტივეს კითხვებზე: რამდენ ხანს ძლებს აქლემი უწყლოდ? ხომ არა აქვს მას წყლის მარაგი სხეულში? რას წარმოადგენს აქლემის კუზი?

უშუალოდ უდაბნოში, კერძოდ ალჟირის საჰარაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ბევრ კითხვას მოჰფინა ნათელი. ძალიან მალე გაირკვა, რომ ის აქლემები, რომლებიც ზამთარში სძოვენ, საერთოდ არ სვამენ წყალს, ვინაიდან წვიმების პერიოდში იგი დიდი რაოდენობით არის უდაბნოს მცენარეულობაში. ასეთ აქლემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ისინი 1-2 თვეს თავისუფლად ძლებდნენ უწყლოდ. კაცი იფიქრებდა, ცხოველებს წყურვილი კლავსო, მაგრამ ეს ასე სულაც არ ყოფილა. როცა წყალს სთავაზობდნენ, ისინი არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდნენ მისადმი. სამაგიეროდ, აქლემს მშრალ ზამთარში უჭირს უწყლოდ. იმის დასადგენად, თუ რამდენი წყალი სჭირდებოდათ, მკვლევარები მშრალ თივასა და ფინიკის ჩირს აჭმევდნენ აქლემებს. "მშრალი კვების" პერიოდები სხვადასხვაგვარი იყო და იანვარში 16 დღეს აღწევდა. ამ დროს აქლემები კი განიცდიდნენ წყურვილს, მაგრამ

მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ამგვარად დადგინდა, რომ მშრალ ზამთარში აქლემებს შეუძლიათ ორ კვირაზე მეტ ხანს გაძლონ უწყლოდ. წონის დანაკარგი პრაქტიკულად დაკარგული წყლის ტოლი იყო. 16 დღიანი თავშეკავების შემდეგ კი "უდაბნოს ხომალდებად" წოდებული ეს ცხოველები ზუსტად იმდენ წყალს სვამდნენ, რამდენიც აღრენდელი წონის აღსადგენად სჭირდებოდათ.

ბევრ მოგზაურსა თუ მეცნიერს მიაჩნდა, რომ ასეთი გამძლეობა აქლემის კუჭში ან სხეულის სხვა ნაწილში დაგროვილი წყლის მარაგის წყალობა იყო. მაგრამ ალჟირის საჰარაში დაკვირვებათა მონაწილე მეცნიერებს ერთხელაც კი არ უნახავთ, რომ რომელიმე აქლემს ზედმეტი წყალი დაელიოს, მოემარაგებინოს. ეტყობა ეს ვარაუდი იქიდან მომდინარეობს, რომ აქლემის კუჭი ტიხრებით რამდენიმე განყოფილებად არის დაყოფილი, რომელთაგან ყველაზე დიდი უხეში საკვებისათვის არის განკუთვნილი და დიდი რაოდენობით სითხეს შეიცავს, რაც ყველა მცოხვნელისთვის არის დამახასიათებელი.

ამ სითხის ანალიზმა აჩვენა, რომ თუმცა იგი ცუდი გემოსია, მისი სასმელად გამოყენება თავისუფლად შეიძლება. ლეგენდა არაბის შესახებ, რომელიც წყურვილით სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ თავისი აქლემი მოკლა და მის კუჭში დაგროვილი წყლით მოიკლა წყურვილი, მთლად არ არის საფუძველ მოკლებული. მცდარი მხოლოდ ის არის, რომ აქლემის კუჭში არსებული სითხე წყლის მარაგია.

ზოგს მიაჩნდა, რომ წყლის მარაგს ეს ცხოველი კუზში ინახავს. მაგრამ აქლემის კუზი ძირითადად ცხიმისაგან შედგება და ისევე როგორც ნებისმიერი



ცხოველის სხეულში დაგროვილი ცხიმი, იგი ენერგიის მარაგს წარმოადგენს. თუმცა კუზში წყალი თავისთავად არ არის, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ აქლემი წყალს კუზიდან ღებულობს საკმაოდ სარწმუნოა. ორგანულ ნივთიერებათა წვის პროცესი ხომ ხელს უწყობს ორგანიზმში წყლის წარმოქმნას, ასე რომ თურმე გაჭირვების დროს აქლემი მართლაც იღებს კუზის მეშვეობით წყალს.

ადამიანი როცა უდაბნოში მცხუნვარე მზის ქვეშ აღმოჩნდება, გადახურებისაგან მას ოფლის გამოყოფა "შველის". ზუსტად ასევე არეგულირებს ტემპერატურას აქლემიც — იმ განსხვავებით, რომ ამ ტემპერატურას შეუძლია მკვეთრად იმერყეოს და აქლემს სხეულის გაცივებისთვის აუცილებელი წყლის დაზოგვის საშუალება მისცეს. მას შეუძლია სხეულის ტემპერატურა 41 გრადუსამდე მიიყვანოს და ასე დაზოგოს წყალი. ცივ ღამეებში კი აქლემი შეძენილ სითბოს გამოყოფს და მისი სხეულის ტემპერატურაც 34 გრადუსამდე ეცემა.

ცხელ უდაბნოში წყალს მოკლებული აქლემი წონის 30% კარგავს. აქლემს, რომელიც 50 ლიტრ წყალს (წონის 20%) კარგავს, სისხლის რაოდენობა მხოლოდ ერთი ლიტრით უმცირდება. წყლის ძირითად რაოდენობას ეს უჩვეულო ცხოველი ქსოვილების გაუწყლოების ხარჯზე კარგავს. ეს მას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სხვა ძუძუმწოვრებთან შედარებით, რომლებიც მზის დაკვრის შედეგად იღუპებიან იმის გამო, რომ მათი სისხლი სქელდება, ანუ პლაზმის დაკარგვის გამო.

12 ფაქტი ნობელის პრემიის შესახებ

ნობელის პრემიის მიკუთვნება 1901 წლიდან დაიწყო. ამ პრემიის დამაარსებელის - შვედი ინჟინრისა მეწარმის ალფრედ ნობელის ანდერძით დაწესებული იყო ხუთი პრემია: ფიზიკაში, ქიმიაში, ფიზიოლოგიასა ან მედიცინაში, ლიტერატურასა და მშვიდობის საქმეში. ამ პრემიებს დაუმატეს კიდევ ერთი – ეკონომიკური პრემია. ნობელის პრემიების დებულების მიხედვით პრემია, განურჩევლად ეროვნებისა, მიენიჭება მეცნიერს ფუნდამენტალური აღმოჩენისა და წაწინოებისათვის, მწერალს – განსაკუთრებული ღირებულების ნაწარმოებების შექმნისათვის და საზოგადო ან სახელმწიფო მოღვაწეს – მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ნობელის პრემია ყველაზე დიდია იმ ფულად პრემიებს შორის, რომლებსაც ყოველწლიურად ანიჭებენ. სადღესაოდ იგი 6,5 მილიონ შვედურ კრონას (დაახლოებით ერთი მილიონი ამერიკული დოლარი) შეადგენს. გარდა თანხის მისაღები ჩეკისა, ლაურეატს ეძლევა სპეციალური დიპლომი და ალფრედ ნობელის გამოსახულებანი ოქროს medaliით.

***

პრემია დააფუძნა შვედმა ალფრედ ბერნჰარდ ნობელმა (1833-1896) ინჟინერული აზრისა და მენეჯმენტის გენიოსმა (სხვადასხვა გამოგონებების 355 პატენტი და ასაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოების რამდენიმე მრავალნაციონალური ტრესტი). 1867 წელს ნობელმა მსოფლიოში პირველმა მიიღო დინამიტის გამოგონების პატენტი. სწორედ დინამიტმა მოუტანა მას დიდი სიმდიდრე.

***

პრემიის სახსრებს ნობელის მემკვიდრეობიდან იღებენ. "მთელი ჩემი დარჩენილი ქონება – ჩაწერა მან თავის ანდერძში, – ჩემი ანდერძის აღმსრულებლის მიერ საიმედო ქაღალდებში უნდა ჩაიდოს და მან უნდა შეადგინოს ფონდი, რომლის პროცენტებიც ყოველწლიურად პრემის სახით დაურიგდება იმათ, ვინც წინა წელს ყველაზე დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას". ანდერძის გამოქვეყნების შემდეგ შვედეთში დიდი სკანდალი ატყდა. ბევრმა გაკვლინანმა პიროვნებამ (მათ შორის შვედეთის მეფემ) გარდაცვლილის ანდერძის გაპროტესტება სცადა, ვინაიდან მას, მათი აზრით, ჯერ – ერთი უფლება არ ჰქონდა სულ არაფერი დაეტოვებინა ახლობლებისთვის, და მეორეც, არ უნდა გამოეჩინა ასეთი "არაპატრიოტიზმი", როცა მოისურვა, რომ პრემიების მინიჭების დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული კანდიდატის ეროვნება. ხუთწლიანი დავის შემდეგ ნათესავები მემკვიდრობიდან შემოსული წლიური შემოსავლით დაკმაყოფილდნენ და უარი თქვეს ყველა დანარჩენ პრეტენზიაზე, ნობელის არაკეთილმოსურნეები კი იძულებული იყვნენ ეცნოთ მისი გადაწყვეტილების კანონიერება და კეთილშობილება.

***

ბევრს აინტერესებს რატომ არ ანიჭებენ ნობელის პრემიას მათემატიკის დარგში? როგორც ამბობენ, ეს იმასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ქალს, რომელიც ნობელს ჰყვარებია, უარი უთქვამს მის ცოლობაზე და ცნობილი შვედი მათემატიკოსი მიტაგ-ლეფლერი აურჩევია. უფრო სარწმუნოა კი სხვა ახსნა: ნობელს მიაჩნდა, რომ მათემატიკური ძიებები დიდ ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა კაცობრიობას (თავად პრემიის მოაზარი იდეა კი სწორედ ეს არის). გარდა ამისა, მაშინ, როცა ნობელმა თავისი პრემიის დაწესება განიზრახა, უკვე არსებობდა სკანდინავიური პრემია მათემატიკოსებისათვის.

***

ნობელის პრემიის ისტორიაში ოთხი ორგზის ლაურეატია. მათ შორისაა ცნობილი მეცნიერი ქალი მარია სკლადოვსკა-კიური, რომელმაც პირველი პრემია 1903 წელს მიიღო, მეორე კი – 1911 წელს. მან ჯერ როგორც ფიზიკოსმა დაიმსახურა იგი, მერე კი როგორც ქიმიკოსმა.

ფორმალურად ერთი და იგივე პირს პრემია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ. გამონაკლისს წარმოადგენს პრემია "მშვიდობისათვის". ასევე არ მიენიჭება პრემია გარდაცვალების შემდეგ. "მშვიდობის" პრემია კიდევ იმით განსხვავდება დანარჩენებისგან, რომ მისი მიღება მთელ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ. რეკორდსმენები ამ უკანასკნელთა შორისაც არსებობენ: საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა სამჯერ მიიღო იგი. (1917, 1944, 1963 წ.წ.) ხოლო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისიამ – ორჯერ (1955 და 1981 წლებში).

***

1937 წელს ჰიტლერმა საგანგებო ბრძანებულებით აუკრძალა გერმანელებს ნობელის პრემიის მიღება მხოლოდ იმიტომ, რომ ორი წლით ადრე იგი მიენიჭა ცნობილ პაციფისტს და ფიუერერის დიდი ხნის პოლიტიკურ ოპონენტს კარლ ფონ ოსეცკის.

***

პრემიის გადაცემის ცერემონია ტარდება სტოკჰოლმის კონცერტ-ჰოლში 10 დეკემბერს – დამფუძნებელის გარდაცვალების დღეს, რომელსაც შვედეთში ნობელის დღესაც უწოდებენ. პირველი პრემია ლაურეატს 1901 წელს, ნობელის გარდაცვალების მეხუთე წლისთავზე გადაეცა. პრემიებს გადასცემს შვედეთის მეფე კარლ-გუსტავი. "მშვიდობის" პრემიას გადასცემენ ოსლოში – ასე დაიბარა ანდერძში თავად ნობელმა, რომელმაც მოისურვა, რომ ეს პრემია მიენიჭებინა ნორვეგიის სტორტინგის მიერ არჩეულ კომიტეტს.

***

სხვათა შორის, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, თუმცა ჩვენ არასწორად წარმოვთქვამთ ნობელის გვარს – მახვილი უნდა კეთდებოდეს არა პირველ მარცვალზე, არამედ მეორეზე. დიდი გამომგონებლის საპატიცემულოდ დარქმეული 102-ე ქიმიური ელემენტის – ნობელიუმის სახელწოდებას კი სწორად წარმოვთქვამთ.

***

1968 წელს ნობელის პრემიებს კიდევ ერთი შეემატა - თავის 300 წლისთავთან დაკავშირებით შვედეთის სახელმწიფო ბანკს დაარწყა პრემია ეკონომიკის დარგის შრომებისათვის. ამ პრემიებს გადასცემენ იგივე საფუძველზე და იგივე რაოდენობით.

***

"საერთო გუნდურ ჩათვლაში" ნობელის პრემიის ლაურეატების რაოდენობის მიხედვით აშშ პირველობს – 250 ადამიანი.

***

ნობელის ექვსივე კომიტეტში წარდგენილი კანდიდატურების განხილვა უმაცრეს ვითარებაში მიმდინარეობს. განხილვისას წარმოშობილი უთანხმოებანი ოქმებში არ შეაქვთ. პრესაში მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილება და მისი მოკლე დასაბუთება ქვეყნდება (შვედობის პრემიის დასაბუთება არ ახლავს). მიღებული გადაწყვეტილებები არც კამათს ექვემდებარება და მით უმეტეს არც გაუქმებას.



ტესტი თინეიჯერებისთვის

გენიოსი ხარ, თუ?..

ამ ტესტის კითხვებზე პასუხის გაცემისას გახსოვდეს, რომ უნდა ჩაიწერო პირველივე გონივრული ვერსია, რომელიც 30 წამში მოგაფიქრდება.

1. პროფესორი საღამოს 8 საათზე წვება დასაძინებლად, მაღვიძარას კი დილის 9 საათზე აყენებს. რამდენს იძინებს პროფესორი?

2. შეუძლია თუ არა მამაკაცს საკუთარი ქვრივის და შეირთოს ცოლად?

3. არის თუ არა 8 მარტი ავსტრალიაში?

4. მამედს ათი ცხვარი ჰყავდა. მოუკვდა ყველა, 9-ის გარდა. რამდენი ცხვარი დარჩენია მამედს?

5. შენ თვითმფრინავის პილოტი ხარ, რომელიც თბილისიდან პარიზში მიფრინავს და ორჯერ უნდა დაჯდეს ალჟირში. რამდენი წლის არის პილოტი?

6. საზოგადოდ ყოველი თვე 30 ან 31 რიცხვით მთავრდება. რომელ თვეშია 28 რიცხვი?

7. შენ ნაკლებად ნაცნობ ოთახში შედიხარ. ოთახში ბნელა და შიგ ორი ლამპა დგას: გაზისა და ბენზინის. რას აანთებ პირველ რიგში?

8. ერთი მატარებელი თბილისიდან ბათუმში მიდის, მეორე ბათუმიდან თბილისში. ისინი ერთდროულად გამოვიდნენ, მაგრამ პირველი მატარებლის სიჩქარე სამჯერ აღემატება მეორისას. რომელი მატარებელი უფრო შორს იქნება თბილისიდან მათი შეხვედრის მომენტში?

9. მამა-შვილი კატასტროფაში მოხვდა. მამა საავადმყოფოში გარდაიცვალა. შვილთან პალატაში შედის ქირურგი და აცხადებს: "ეს ჩემი შვილია". შეიძლება თუ არა, რომ ეს სიტყვები მართალი იყოს?

10. არქეოლოგებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 35 წლით დათარიღებული მონეტა იპოვეს. შესაძლებელია, თუ არა ეს?

11. ხელებზე ათი თითია. რამდენი თითია ათ ხელზე?

12. რამდენი ცხოველი ჩაისვა ნოემ თავის კიდობანში?

13. ექიმმა ავადმყოფს სამი ნემსი გამოუწერა, თითო-თითო ყოველ ნახევარ საათში. რამდენი დრო დაჭირდება ყველა ნემსის გაკეთებას?

14. რამდენი ცხრინანია 1-დან 100-მდე რიცხვთა რიგში?

15. მარტოხელა ღამის დარაჯი დღისით გარდაიცვალა. მისცემენ თუ არა მას პენსიას?

16. ენოო 7 სანთელი. 3 ჩაქრა. რამდენი სანთელი დარჩა?

17. აგური იწონის 1 კგ. პლუს კიდევ ნახევარი აგური. რამდენს იწონის აგური?

18. როგორი ბუჩქის ძირას ზის კურდღელი წვიმაში?

ახლა კი დაითვალე არასწორი პასუხები და დაადგინე ვინ ხარ:

0-1 გენიოსი
2-4 ინტელექტუალი
5-6 ნორმალური ადამიანი
7-8 რიგითი იდიოტი
9-10 რიგითი იდიოტი გვერდითი გადახრებით
11-13 აბსოლუტური იდიოტი
14-15 არ გაგაჩნია აზროვნების უნარი
16-18 საჭიროა შენი საზოგადოებისაგან იზოლირება

სწორი პასუხები:

1. ერთი საათი (მაღვიძარა ვერ არჩევს სად დილაა და სად საღამო).
2. არა (ქვრივი ხომ ის ქალია, ვისაც ქმარი მოუკვდა).
3. არის.
4. ცხრა.
5. თვითმფრინავის პილოტი შენ ხარ (პილოტი იმდენი წლისაა, რამდენისაც შენ).
6. ყველა თვეში.
7. ასანთს.
8. ერთნაირად იქნებიან (შეხვედრის მომენტში მატარებლები ერთ წერტილში იმყოფებიან).
9. კი, თუ ქირურგი ამ ბიჭის დედაა.
10. არა. იმ დროში მონეტებზე მოჭრის თარიღს არ აწერდნენ.
11. ორმოცდაათი.
12. ყოველი სულდგმული წყვილ-წყვილად.
13. ერთი საათი.
14. ოცი.
15. არა, ის ხომ გარდაიცვალა.
16. სამი (სამი ჩაქრა, დანარჩენი კი დაიწვა).
17. 1 კგ.
18. სველი ბუჩქის ძირას.

სიცილის გაკვეთილი



გეოგრაფიის გაკვეთილი

მასწავლებელი: რით იკვებებიან მდინარეები?

მოსწავლე: თევზით.

ისტორიის გაკვეთილი

მასწავლებელი: რა არის მუმია?

მოსწავლე: მუმია ფარაონის ცოლია.

მასწავლებელი: რა არის ელადა?

მოსწავლე: ახალი მარკის ავტომობილი.

***

მასწავლებელი: სად ცივა მუდმივად?

მოსწავლე: მაცივარში.

ქიმიის გაკვეთილზე

მასწავლებელი: რა შეგიძლიათ გვითხრათ XVIII საუკუნის გამორჩენილი ქიმიკოსების შესახებ?

მოსწავლე: ისინი ყველანი დაილუპნენ.

***

მასწავლებელი: რა განსხვავებაა ელექტროდენსა და ელვას შორის?

მოსწავლე: ელვა უფასოა, ელექტროდენში კი ფულს ვიხდით.

***

მასწავლებელი: პიერ, კატაზე დაწერილი შენი სამნიადა დავალება ძლიერ ჰგავს შენი ძმის ნაწერს.

მოსწავლე: რა გასაკვირია, მასწავლებელო, ორივემ ხომ ერთ კატაზე დავწერეთ.

***

მასწავლებელი: რამდენ ხანს ცოცხლობენ თაგვები?

მოსწავლე: ეს დამოკიდებულია კატაზე, პატივცემულო მასწავლებელო.

***

ათი წლის ვილის სკოლაში წასვლა დაეზარა. ადგა და მასწავლებელს დაურეკა:

— ბატონო ვაგნერ, ვილი ბრაუნი ავად გახდა და დღეს სკოლაში ვერ მოვა.

— სამწუხარო ამბავია, — თქვა მასწავლებელმა, — ვინ მირეკავს?

— ვინ გირეკავთ და — ალბუკუნდა დაბნეულმა ბიჭმა, — მამაჩემი.

***

— მამა, გახსოვს, კოლეჯიდან შენი გარიცხვის ამბავი რომ მიამბე?

— კი, მახსოვს.

— ჰოდა, მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, ისტორია მეორდებაო.

***

მასწავლებელი: ჯიმ, რატომ იგვიანებ ყოველდღე?

მოსწავლე: იმიტომ, მასწ, რომ ყოველდღე მიწევს გამოვლა აბრასთან, რომელსაც აწერია: "სკოლა — იარეთ ნელა!"

***

სკოლიდან დაბრუნებულ ჰანსს ბიძამ ჰკითხა:

— ჰანს, რას აკეთებდი დღეს სკოლაში?

— ზარის დარეკვას ველოდებოდი — უპასუხა ჰანსმა.

***

ინგლისის საზღვაო სკოლაში მისულმა ადმირალმა ერთ-ერთ კურსანტს ჰკითხა:

—შეგიძლიათ დამისახელოთ ბრიტანეთის ფლოტის ორი დიდი სარდალი?

— ნელსონი და... უკაცრავად, თქვენს გვარს ყური ვერ მოვკარი, ბატონო ადმირალო.

***

დედა: ჯიმი, კარადაში ორი ნაჭერი ნამცხვარი დავტოვე, ერთიღა დამხვდა. ხომ არ იცი, რა მოხდა?

ჯიმი: კარადაში ბნელოდა, თორემ არც ეგ ერთი დაგხვდებოდა.

იწილო-ბიწილო

სურათზე სამი ძაღლი და სამი ხელია დახატული, საბელები კი არ ჩანს. დახატე საბელები, ოღონდ ისე, რომ თითოეული ძაღლი მისმა პატრონმა ასეირნოს, თანაც არ დაგავიწყდეს, რომ საბელები არ უნდა გადაიკვეთოს, არ უნდა შეეხოს ერთმანეთს და ნახატის ჩარჩოებს.

თარაგულად:

5. ქსოვილის წვრილი თასმა; 6. სპორტული თამაში; 7. ფრინველი; 8. რიტმული,მწყობრი ნაბიჯით სვლა; 14. შინაური ცხოველი; 15. მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი შესრულების ტემპი; 16. მასრა, ანუ... 19. ზღაპრული ურჩხული; 20. მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის საგანს და აძლევს მას მხატვრულ გამომსახველობას; 21 ხის ნაყოფი; 22. ანბანის პირველი ასო; 27. კონტინენტი; 28. რიცხვითი ან ასოთი მაჩვენებელი, რომელიც ეწერება ჟურნალ-გაზეთსა და სხვ. ჩვეულებრივ, ქვემოთ; 32. ქიმიური ელემენტი; 33. მდინარე აფრიკაში; 34. სახელმწიფო აზიაში; 37. ქალაქი იტალიაში; 38. ტროპიკული მცენარე; 39. სოფელი ახალქალაქის რაიონში; 40. ზღვა აზიაში.



შვეულად:

1. ინერტული გაზი; 2. საზომი ერთეულის სტანდარტი; 3. გერმანელი კომპოზიტორი; 4. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება სპეკტაკლის, კონცერტის და სხვ. შესახებ; 9. ქალაქი საქართველოში; 10. ტვირთის ასაწევი უმარტივესი მოწყობილობა; 11. ძველი ქართული პროვინცია; 12. დროის საზომი ხელსაწყო; 13. კატის ნაშიერი; 17. სოფელი მდ. ენგურის შესართავთან; 18. ნახევარკუნძული ევროპაში; 23. მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; 24. საზამთრო სამოსი; 25. სიგრძის საზომი ერთეული; 26. "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი პერსონაჟი; 29. პლანეტა მზის სისტემაში; 30. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული პირი; 31. წოდება ბატონყმურ საქართველოში; 35. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში; 36. ნავთიერება, რომლითაც დაფარულია კბილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ 202/1

ბრაიან ლიტრელი

ჯგუფი "Backstreet Boys"

ამჟამად ბრაიან ლიტრელი 24 წლისაა. ამ ხნის მანძილზე ის ორჯერ გადაურჩა სიკვდილს. ხუთი წლის იყო ბრაიანი, როცა სრულიად მოულოდნელად გული გაუჩერდა და 30 წამის განმავლობაში არ უცემდა. რომ არა ექიმთა ხელოვნება, ბავშვი ვერ გადარჩებოდა. თითქმის იგივე განმეორდა 18 წლის შემდეგ. ექიმების დაჟინებით "ბარშან ბრაინს გულის ოპერაცია გაუკეთდა. სხვათა შორის, ვიდრე საავადმყოფოში დაწვებოდა, Backstreet Boys-ის წამყვანმა სოლისტმა თავის თანჯგუფელებს შესთავაზა იმის ნაცვლად, რომ ყველანი, სათამაშოები და სხვა საჩუქრები მიგზავნოთ, უმჯობესია ფული გულით დაავადებულ ბავშვთა დახმარების ფონდში გადარიცხოთო.

Backstreet-ის ბიჭებს რომ ჰკითხოთ, მათი ჯგუფის მიმზიდველობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მისი თითოეული წევრი პიროვნებაა, ხოლო ყოველი მათგანის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენების ცხოვრება - შემოქმედებასთან. ბრაიანს მიაჩნია, რომ ჯგუფის დამოკიდებულება ზოგადად ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი





გადმოცემულია მის სიმღერებში "Everybody". Backstreet Boys-ის პირველი სინგლი 1995 წელს გამოვიდა. მთელი ეს წლები ბრაიანი და მისი მეგობრები შეუსვენებლივ ეძებენ, ხვეწენ სტილს. თავიდან ბიჭები ოთხნი იყვნენ - კევინ რიჩარდსონი (ბრაიანის ბიძაშვილი), ნიკ კარტერი, ჰოუი და ეი ჯეიმი. მერე კი კევინის რჩევით, მათ ბრაიან ლიტრელიც შეიამხანაგეს და დაიწყო ჯგუფის აღმასვლა წარმატებისაკენ.

ბრაიანს ძალიან უყვარს ოჯახი, დასასვენებლადაც კი დედა-მამასთან ერთად ურჩევნია გამგზავრება. თავისუფალ დროს სიამოვნებით უყურებს კინოს, უყვარს ცეკვა, გოლფისა და კალათბურთის თამაში. საკმელებიდან ყველაფერს ყველანი მაკარონი და ასევე ყველიანი პიცა ურჩევნია. მეგობრები ბრაიანს მოფერებით "ჯგუფის კლოუნს" ეძახიან, იმიტომ, რომ ის ძალზე მხიარული და ხუმარა ადამიანია, სიამოვნებს, როცა სხვებს აცინებს. ბრაიანი ნამდვილი ძალისგუდაა, თუ ადრე გაეღვიძა, ცუდ ხასიათზე დგება.

რა გასაკვირია, რომ ასეთ კარგ ბიჭს უამრავი თაყვანისმცემელი გოგონა ჰყავს, თავად ბრაიანს კი გრძელთმიანი გოგონები მოსწონს (თმის ფერს მნიშვნელობა არა აქვს), თუმცა მტკიცედ სწამს, რომ სპირიტუალური სქესში მთავარი გარეგნობა კი არა ინდივიდუალობაა. ამ "ბექსტრით ბოის" მიაჩნია, რომ გოგონა ერთნაირად ორიგინალურად უნდა გამოიყურებოდეს ნებისმიერ ტანსაცმელში, ოღონდ მეტისმეტად შელებილი არ უნდა იყოს.